# საერთო გაზეთი

№9 (648)
ოთხშაბათი
16 მარტი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.




**გოგა ხაინდრავა:**

## ჩვენ გადაგვარჩინა იმან, რომ სახელმწიფოს მართვის სათავეში გამოჩნდნენ ადამიანები, ვისთვისაც საქართველო, უპირველეს ყოვლისა, არის ჯერ სამშობლო და მერე პოლიტიკური ასპარეზი

მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც ეყო ვაჟკაცობა და გონიერება, თავის თავზე აიღო დარტყმა და ამ უბედურებას აგვაცილა



## ვახტანგ ხარჩილავა: პატრიოტიზმი თუ იდიოტიზმი?

რუსეთი უკრაინას ებრძვის, ნაცმოძრაობა - საქართველოს



**ლევან მამალაძე:**

თუ წინდახედულებას გამოვიჩენთ და ამ რთულ გადათამაშებაში არ ჩავერთვებით, შეიძლება სიტუაცია ისე შემოტრიალდეს, რომ საქართველო რეგიონში ოაზისად იქცეს

**ბესო მიქავა:**

## ანტიქრისტეს მოსვლის წინა დღე



ომი უკრაინაში ეს არის სსრკ-ს მოდერნიზაციის გაგრძელება, რასაც თავის დროზე ზვიად გამსახურდია შეეწირა

**ბელა ზედელაშვილი:**

## ქაჯთა სახეები „ნაცმოძრაობაში“



ცოცხზე გადამჯდარი მაჯლაჯუნა



ცოფიანი კატა

## ვოლოდიმირ ზელენსკი: უკრაინის კაპიტულაცია ნატოს და დასავლეთის ქვეყნების ბრალი იქნება

## შეთქმულების თეორია

## სამი ქალბატონი, რომლებმაც სამყაროს რვა მარტი აჩუქეს

# „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს განცხადება

კონსტიტუციის პატივისცემა და მის შესაბამისად მოქმედება ყველა კონსტიტუციური ორგანოს უპირველესი ვალია. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც კონსტიტუციის დაცვის ვალდებულებას თავად კონსტიტუცია პირდაპირი ტექსტით აკისრებს.

სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, აშკარად იკვეთება უარყოფითი ტენდენცია და ჩვენი ვალია, ამ ტენდენციაზე იმთავითვე მოვახდინოთ პოლიტიკური რეაგირება, რათა მან კონსტიტუციური სისტემის ფუნქციონირებას რაიმე ჭარბი სირთულე არ შეუქმნას.

ვიდრე დეტალებზე ვისაუბრებთ, პირველ რიგში, საქართველოს პრეზიდენტს გვინდა მოვუწოდოთ, გაეცნოს საქართველოს კონსტიტუციას და განსაკუთრებით, სამი მთავარი კონსტიტუციური ორგანოს - პარლამენტის, მთავრობისა და პრეზიდენტის კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს.

გუშინდელ გამოსვლაში საქართველოს პრეზიდენტმა შემოგვთავაზა მთელი რიგი ახალი თამაშის წესები, რომლებიც სახელმწიფო სისტემის ფუნქციონირებას უკავშირდება. აშკარაა, რომ მისი სურვილია კონსტიტუციის მიღმა იმოქმედოს. თუმცა, პრეზიდენტს გვინდა შევახსენოთ, რომ სახელმწიფო სისტემის თამაშის წესებს არა პრეზიდენტი, არამედ კონსტიტუცია განსაზღვრავს, ხოლო პრეზიდენტს კონსტიტუციის გადაწერის შესაძლებლობას ვერავინ მისცემს.

როგორც ცნობილია, საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია საგარეო პოლიტიკის განხორციელების ექსკლუზიურ უფლებამოსილებას საქართველოს მთავრობას ანიჭებს. საპარლამენტო რესპუბლიკის პრინციპების შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში ჩართვა საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, საქართველოს მთავრობის საგანგებო თანხმობით შეუძლია. აქვე დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრეზიდენტს არ ექვემდებარება საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული არცერთი სახელმწიფო უწყება, რაც მის მიერ ამ უფლებამოსილების განხორციელებაში ეფექტიან ჩართვას შეუძლებელსაც კი ხდის. როგორც უკვე აღინიშნა, ეს თავისებურებები საპარლამენტო რესპუბლიკის პრინციპებიდან გამომდინარეობს.

სწორედ საგარეო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა. შესაბამისი აქტი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით გამოიცემა, ამგვარ აქტზე კი, კონსტიტუციის თანახმად, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მხოლოდ მთავრობას ეკისრება. ეს ნიშნავს, რომ ელჩის განწესების მატერიალურ უფლებამოსილებას კონსტიტუცია მთავრობას ანიჭებს, პრეზიდენტს კი ამ სფეროში მხოლოდ სამართლებრივი და ცერემონიული უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. ამასთან, თანახელმოწერის დათქმაც რომ არ იყოს დადგენილი, ყველა საპარლამენტო რესპუბლიკაში ელჩის დანიშვნის უფლებამოსილება სწორედ ამ სახით განიმარტება - პრეზიდენტი ელჩებს ფორმალურად ნიშნავს, მათ შერჩევაზე კი, პოლიტიკურ-პრაქტიკული თვალსაზრისით, მთავრობაა პასუხისმგებელი. გასული ერთი წლის განმავლობაში, იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტმა მთავრობის მიერ წარდგენილი ელჩის თუ დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნაზე უარი განაცხადა, რაც საქართველოს კონსტიტუციას უხეშად ეწინააღმდეგება. გასული თვეების განმავლობაში შედგა არაერთი შეხვედრა მთავრობის წარმომადგენლებსა და პრეზიდენტს შორის, სადაც პრეზიდენტს არაერთგზის ნათლად განემარტა საქართველოს კონსტიტუციის შინაარსი, თუმცა, სამწუხაროდ, უშედეგოდ. ამ პირობებში, საქართველოს მთავრობა იძულებული ხდება, უახლოეს მომავალში მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების შესახებ დავის პროცედურის ფარგლებში და საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის დადასტურება მოითხოვოს.

საგარეო პოლიტიკის განხორციელების სფეროში საქართველოს მთავრობის ექსკლუზიური უფლებამოსილების შესაბამისად, საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების კუთხითაც, საქართველოს კონსტიტუცია პრიორიტეტს მთავრობას ანიჭებს. კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ მთავრობის თანხმობის შემთხვევაში შეუძლია საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოება და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განხორციელება.



ამ კონსტიტუციური დათქმის დარღვევით, საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც ეს მან გუშინდელ სხდომაზე თავადაც აღიარა, განახორციელა რამდენიმე ვიზიტი სხვადასხვა ქვეყანაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ვიზიტები პრეზიდენტმა მთავრობასთან ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციის გარეშე დაგეგმა და მთავრობას ვიზიტების შესახებ მხოლოდ ამის შემდეგ აცნობა, რაც ადასტურებს, რომ პრეზიდენტმა კონსტიტუცია წინასწარი განზრახვით დაარღვია. ჩვენ გავუფრთხილდით პრეზიდენტის ინსტიტუტს და ეს ფაქტი არ გავასაჯაროეთ, თუმცა, ახლა, როდესაც პრეზიდენტმა ის თავად გაასაჯაროა, მასზე პოლიტიკური რეაგირება აუცილებლად მიგვაჩნია. საინტერესოა, რომ გუშინდელ გამოსვლაში პრეზიდენტს მისი ევროპული ვიზიტების შესახებ ერთი სიტყვაც არ უთქვამს, როცა 5 მარტს საგანგებო სხდომის მოწვევას სწორედ ვიზიტის შესახებ სასწრაფო მოხსენების წარდგენის აუცილებლობით ხსნიდა. ეს ფაქტი იმასაც ცხადყოფს, რომ პრეზიდენტი ევროპიდან რაიმე ხელშესახები შედეგის გარეშე დაბრუნდა.

სრულიად გაუგებარი იყო პრეზიდენტის გუშინდელი განცხადებები სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს შესახებ. უსაფრთხოების საბჭო არის პრემიერ-მინისტრის სათათბირო სამთავრობო ორგანო, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ უსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისთვის იქმნება. ამ სამთავრობო ორგანოში არასამთავრობო სუბიექტების, პრეზიდენტისა და ოპოზიციის წარმომადგენლების შეყვანა სისტემის ლოგიკასა და ორგანოს არსს პირდაპირ ეწინააღმდეგება. ამ შემთხვევაშიც, აშკარაა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს კონსტიტუციას ვერ კითხულობს და დღემდე მის არსში ვერ გაერკვა, ან ის ამ შემთხვევაშიც კონსტიტუციის თავისებურად გადაწერას ცდილობს. მთავარსარდლის სტატუსზე მითითებაც იმ პირობებში, როდესაც საპარლამენტო რესპუბლიკაში ეს სტატუსი მხოლოდ ცერემონიული დატვირთვის მატარებელია, იმაზე მეტყველებს, რომ პრეზიდენტი კონსტიტუციას სწორად ვერ ან არ კითხულობს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკაში უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანო საქართველოს მთავრობაა. მთავრობის სხდომებთან ერთად, პრემიერ-მინისტრთან რეგულარულად იმართება ოპერატიული თათბირები უსაფრთხოების საკითხების განსახილველად. სწორედ ერთ-ერთ ასეთ თათბირზე იქნა მოწვეული პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელსაც მიეცა განმარტებები პრეზიდენტის ვიზიტის მიზანშეუწონლობის შესახებ, რაც პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა.

უკანასკნელ პერიოდში, პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დარღვევის ორი უხეში პრეცედენტი დაფიქსირდა პარლამენტის მიმართაც. კერძოდ, თავდაპირველად, პრეზიდენტმა პარლამენტში მისი მისვლის თარიღი პარლამენტთან შეთანხმების გარეშე გამოაცხადა, ხოლო, მოგვიანებით, პარლამენტთან შეთანხმების გარეშე სხდომათა დარბაზის მთავარ სივრცეში შეიყვანა უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, რისი უფლებაც, კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეს აქვს. როგორც ჩანს, პრეზიდენტი კარგად ხვდებოდა უხერხულობას, რომელსაც უკრაინის ხელისუფლების მიერ ელჩის გაწვევის პირობებში, ამგვარი აქტი უკავშირდებოდა და პარლამენტის თავმჯდომარეს საკუთარი განზრახვა ამ მიზეზით დაუმალა. უკრაინელი ხალხის მიმართ პატივისცემისა და სოლიდარობის გათვალისწინებით, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ელჩის მოვალეობის შემსრულებლისთვის პრეზიდენტის მიერ შექმნილი უხერხულობა აგვერიდებინა და პარლამენტის სხდომაზე მის მიმართ პატივისცემა და მხარდაჭერა სათანადოდ გამოვხატეთ.

გუშინ ჩვენ ასევე მოვისმინეთ საქართველოს პრეზიდენტის რამდენიმე გაუგებარი განცხადება მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მათ შორის ერთ-ერთი „გამორჩეული“ იყო შემდეგი ფრაზა - „ხელისუფლება სცოდავს, როცა ვერ ბედავს გამოხატოს ის, რასაც ჩვენი ისტორია და ღირსება გვკარნახობს“. ამასთან, ამგვარი შეურაცხმყოფელი ფრაზის მიღმა, მას არ დაუკონკრეტებია, თუ რას გულისხმობს ხელისუფლების გაუბედავ და უღირს მოქმედებაში. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ მკაფიო პოზიცია გამოხატა ყველა საერთაშორისო ფორუმზე, ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერასა და რუსული აგრესიის მიმართ რეაგირებას უკავშირდებოდა - იქნებოდა ეს ევროსაბჭოში რუსეთისთვის წევრის სტატუსის შეჩერება, გაეროს რეზოლუციის თანასპონსორობა, ჰააგაში შეტანილი საჩივრის თანაავტორობა თუ სხვა. თუ პრეზიდენტი გულისხმობს იმას, რომ საქართველო სანქციებს უნდა მიერთებოდა და ომში უნდა ჩართულიყო, კეთილი ინებოს, თავად გამოიჩინოს გამბედაობა და ეს ღიად თქვას. იმედი გვაქვს, ის არ იმეორებს რადიკალური ოპოზიციის ტაქტიკას, რომელიც სანქციებსა და ომზე ღიად ვერ საუბრობს, თუმცა, ყველა პროვოკაციით ცდილობს, ხელისუფლებას სწორედ აქეთკენ უბიძგოს.

არანაკლებ გაუგებარი იყო პრეზიდენტის განცხადება ევროინტეგრაციის მინისტრად ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. პირველ რიგში, პრეზიდენტს უნდა ესმოდეს, რომ ოპოზიციონერი პოლიტიკოსი როგორც კი ხდება მინისტრი, პოლიტიკის ელემენტარული კანონების თანახმად, ის აღარ არის ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და ხდება მმართველი კოალიციის წარმომადგენელი. საზოგადოების ყურადღებას აღარ შევაჩერებთ იმაზე, თუ როგორია ეს ოპოზიცია, რომელზეც პრეზიდენტი საუბრობს. გაუგებარია, როგორ ასაბუთებს პრეზიდენტი ევროინტეგრაციის მინისტრის პოსტზე ოპოზიციონერის დანიშვნის მიზანშეწონილობას, როცა გუშინ თავადვე აღნიშნა დიდი ხნის წინ ცნობილი ფაქტი, რომ ოპოზიცია „დადის და (სახელმწიფოს) ძირს უთხრის“. რა სარგებელი უნდა ჰქონდეს ძირგამომთხრელის დანიშვნას ევროინტეგრაციის მინისტრად, საზოგადოებას თავადაც შეუძლია განსაჯოს. გარდა ამისა, პრეზიდენტის ეს განცხადება აშკარად ემსახურებოდა საზოგადოებაში ჭარბი მოლოდინის გაჩენას ევროინტეგრაციის ტემპებთან დაკავშირებით. ევროპელი პოლიტიკოსების - ბორელის, მაკრონის, შოლცის და სხვების სიტყვები ცხადყოფს, რომ ევროკავშირის წევრობამდე საქართველოს, ისევე, როგორც უკრაინასა და მოლდოვას, სამწუხაროდ, არცთუ მოკლე გზა აქვს გასავლელი. გასატარებელია არაერთი რეფორმა, რასაც არაერთი წელი დასჭირდება. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლებას დღემდე ძალისხმევა არ დაუკლია და არც მომავალში დააკლებს. ამ პირობებში, გაუგებარია, რა საჭიროა ღია კარის მტვრევა, რაც რადიკალური ოპოზიციის ცნობილი ხელწერაა. როგორც გავარკვიეთ, ევროინტეგრაციის მინისტრად ოპოზიციონერის დანიშვნა იყო პრეზიდენტის გუშინდელი გამოსვლის ძირითადი სათქმელი, რაც, თავისთავად, მრავლისმთქმელია.

საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებები და საფუძველს მოკლებული განცხადებები განსაკუთრებული საფრთხის შემცველია იმ დროს, როდესაც რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში, მსოფლიო და საქართველო უსაფრთხოების განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგას.

დასასრულს, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს, ყურადღებით გაეცნოს საქართველოს კონსტიტუციას და კარგად გაიაზროს საპარლამენტო რესპუბლიკის არსი, რომლის დამკვიდრებაში მას, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრს, 2017 წელს უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული. ასეთ შემთხვევაში, ის მომავალში მაინც იქნება დაზღვეული შეცდომებისა და გადაცდომებისგან და მისი სამომავლო ქმედებები და განცხადებები ამდენ კითხვას აღარ დატოვებს. საქართველოს პრეზიდენტმა პირველ რიგში უნდა სცეს პატივი საქართველოს კონსტიტუციას და პრეზიდენტის კონსტიტუციურ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს.

# ჩვენ გადაგვარჩინა იმან, რომ სახელმწიფოს მართვის სათავეში გამოჩნდნენ ადამიანები, ვისთვისაც საქართველო, უპირველეს ყოვლისა, არის ჯერ სამშობლო და მერე პოლიტიკური ასპარეზი

## მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც ეყო ვაჟკაცობა და გონიერება, თავის თავზე აიღო დარტყმა და ამ უბედურებას აგვაცილა



***„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:***

**— ბატონო გოგა, უკრაინის ომი, ჩვენს ყოფაზე, პირდაპირი გამოძახილია, თუმცა, მავანი ამ ომს 2008 წლის მოვლენებთან აიგივებს. რამდენად იდენტურია მდგომარეობა, ამ შემთხვევაში? რუსეთი, ახლა, ცდილობს უკრაინისგან იმის მიღებას, რასაც აქ, 2008 წელს, უკვე, მიაღწია. მართლა ერთ მდგომარეობაში ვართ, თუ ეს მიზანმიმართული ხრიკია, რათა საქართველო უკრაინის სიტუაციას მიაბან?**



— თქვენს კითხვაზე პასუხს, იდენტურობის შესახებ, ორ ნაწილად გავყოფ: პირველი, ქვეყნის შიგნით — ღალატი „ნაცმოძრაობის“ მხრიდან, იდენტურია იმისა, რაც მათ 2008 წელს განახორციელეს. ოღონდ, მაშინ ეს ღალატი ტრაგედიად გვექცა, ხოლო მის სიმბოლოდ — მიწაზე მფორთხავი „მთავარსარდალი“ სააკაშვილი მოგვევლინა! ამჟამად, მძიმე წარსულის გამოცდილებამ თავისი ჰქნა — მათ, საქართველოს ომში ჩათრევა ვერ შეძლეს! ამიტომ, დღეს, ნაცების ღალატი ფარსად იქცა, თუმცა, ძალიან სახიფათო ფარსად. ამ ღალატის სახეს, მათი ამჟამინდელი ლიდერი „დეპუტატი“ დეკანოიძე განასახიერებს! ვერ მიაღწიეს რა საწადელს ქვეყნის შიგნით, მთელი სანაცეთი ლელოიან, აღმაშენებლიან, დროიან, უდროიან, ჟუჟურნალისტიან, დედიანბუდიანა მთელ მსოფლიოს მოედნენ — სადაც კი ხელი და პირი მიუწვდებათ, ყველგან ცილს გვწამებენ, გვაბეზღებენ, გვლანძღავენ და გვამცირებენ, შეურაცხყოფენ და ლაფში სვრიან ჩვენ სამშობლოს! ბოროტების მხევლებად გვასაღებენ! მიზანმიმართულად ძირს უთხრიან ჩვენი ქვეყნის, ჩვენი შვილების აწმყოს და მომავალს! აბა წარმოიდგინეთ, რომელი ჭკუადმყოფელი, ცივილიზებული ერი მოინდომებს მომავალში ჩვენთან ურთიერთობას, ქართველი „პოლიტიკოსების“ საჯარო განცხადებების გამგონე — თურმე, ჩვენ, ქართველები, ამ ბარბაროსული ომის ჟამს, პუტინს და მის სიკვდილის მანქანას, ვუქმნით შავ ხვრელებს, ვეხმარებით იარაღის შექმნაში, რათა რუსეთმა უკრაინელები გაანადგუროს!!! ამაზე სამარცხვინო და საზარელი ადამიანმა რა უნდა ჩაიდინოს!

„ნაციონალური მოძრაობა“, შექმნის დღიდან, საქართველოს არა სამშობლოდ, არამედ ასპარეზად, საკუთარი ვნებების დაოკების ადგილად განიხილავდა. თუ როგორ გამოიყურება ეს ვნებები, ამას, ყოველდღიურად, ეკრანზე განასახიერებენ: გვარამია, როენა მამიდა, ნოდარიკო დეიდა, თარგამაძე, დანი და ძმანი მათნი... ანუ, იმ მედიასაროსკიპოებში, სადაც შემსრულებლები, შემკვეთების ვნებების დაკმაყოფილებას ემსახურებიან დიიდი გასამრჯელოს საფასურად, რომლის წარმომავლობა საიდუმლოებას არავისთვის აღარ წარმოადგენს და ქართველი ხალხის, სისხლის, სიმწრის, უბედურების ხარჯზეა მოხვეჭილი. თუმცა, არამარტო საქართველოში. ვნებები, ჩვენი ქვეყნის მიმართ, მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში და წრეებში გააჩნიათ და მათ დასაკმაყოფილებლად მავანნი ხარჯებს არ ერიდებიან. ამის მშვენიერი მაგალითი **ჩვენს სინამდვილეში, მედია-საროსკიპოების გარდა, ენჯეო-საროსკიპოებიც არიან**.

მეორე ნაწილი, ჩემი პასუხის, მდგომარეობს შემდეგში: უკრაინაში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებში იდენტურია ღალატის ხელწერა — სააკაშვილი, დეკანოიძე, ადეიშვილი, ლორთქიფანიძე, სიხარულიძე, ვაშაძე, მერაბიშვილი და ა.შ. ხომ არ გეცნობათ ამ უკრაინელი „მოღვაწეების“ გვარები? ან მათი „ღვაწლის“ ანარეკლი ორივე „სამშობლოში“? ამოცანები, რომელთა აღსრულებას, დამპყრობელი და აგრესორი რუსეთი აღწევს ორივე ქვეყანაში — საქართველოში და უკრაინაში? შედეგი, რომელიც დადგა საქართველოში და უკვე სახეზეა უკრაინაში! ეს გახლავთ მათი ღალატის ვერდიქტი.

არ ვიცი, რას მოიმოქმედებს უკრაინელი ხალხი და უკრაინის სახელმწიფო, თუმცა ვფიქრობ, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, გვაქვს უფლება, მეტიც, მოვალეობა გაგვაჩნია მოვითხოვოთ, რომ ჩვენ მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ, ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს, რასაც ჩვენს სამშობლოს რუსეთის მიერ წამოწყებული მესამე მსოფლიო ომი უქადის, კანონის მთელი სიმკაცრით აღკვეთოს ის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რომლის მომსწრენი ვართ არამარტო ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები, არამედ მთელი მსოფლიო! ერთადერთი ქვეყანა სადაც, დრომოჭმულ, გახრწნილ ლიბერალიზმს და ფსევდოდემოკრატიას ამოფარებული მავნებლები ბედავენ საკუთარი ქვეყნის საჯაროდ მტრობას, არის საქართველო!!!

24 თებერვალს (ეს თარიღიც სიმბოლურია ჩვენთვის) უკრაინაში ინტერვენციით პუტინმა მესამე მსოფლიო ომი დაიწყო და ის მიმდინარეობს არამარტო რუსეთსა და უკრაინას, არამედ რუსეთსა და დასავლეთს შორის, რასაც ჩვენი მოძმე ხალხი - უკრაინელები ეწირებიან. უკრაინა ორივე მხარემ, პოლიგონად აქცია. რუსეთი საკუთარ თავს, სისხლს, ხორცს, წარსულს, აწმყოს ებრძვის. ანგრევს და ანდგურებს ქალაქებს, ანდგურებს მშვიდობიან მოსახლეობას, რომელთა დიდ ნაწილს ეთნიკური რუსები წარმოადგენენ. პუტინმა ეს ჯოჯოხეთი, პირველ რიგში, საკუთარ ხალხს მოუწყო. პუტინს და მის გარემოცვას ამას არავინ აპატიებს. **რუსებს პრეტენზია აქვთ, რომ კიევი მათი ქალაქების დედაა. მერე, ვის გაუგია დედას ზარბაზნები ესროლო და ჟუმბარები დაუშინო?! ბარბაროსობას არასოდეს უკვალოდ არ ჩაუვლია!** პასუხს ყველა აგებს, საშინელი სამსჯავროს წინაშე!

კრებით დასავლეთს და კონკრეტულად ნატოს წევრ ქვეყნებს რაც შეეხება, 2008 წლის ბუქარესტის სამიტიდან მოყოლებული, ისინი ერთად და ცალ-ცალკე აიმედებდნენ უკრაინას, ისევე როგორც საქართველოს, რომ კარი ღიაა და ორივე ქვეყანა ნატოს წევრი გახდება. ამ განცხადებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მას მერე, რაც დაპირება დაპირებად დარჩა და ჩვენი ქვეყანა ნატოში არ მიიღეს, რუსეთმა საქართველოში ინტერვენცია განახორციელა, რითაც ჩვენს ქვეყანას, პრაქტიკულად, ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობა მოუსპო. იმიტომ, რომ ამ ორგანიზაციის წესდება არ ითვალისწინებს იმ ქვეყნების ნატოში მიღებას, რომელთა ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და იქ, უცხო ქვეყნის საოკუპაციო ჯარი დგას. ამავდროულად, **ჩვენთვის წარმოუდგენელია და დაუშვებელი საქართველომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე უარი თქვას, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გული და სულია. ამ ტერიტორიების გარეშე, ჩვენ არც ნატოში და არც არსად წავალთ არასდროს!** შედეგად, ამ რეალობას თვალი უნდა გაუსწოროთ — 2008 წლიდან, საქართველოსთვის ნატოს კარი დაიხურა, თუ ნატო საკუთარ დათქმებს და წესებს არ დაარღვევს, ანდა არ გამოცვლის.

2008 წლის ომს საქართველოში, მთელი მსოფლიო უყურებდა და ერთადერთი დახმარება, რაც მაშინ გვახსოვს წყალი და პამპერსები იყო. კი ბატონო, პამპერსები ძალიან სჭირდებოდათ „ნაცმოძრაობის“ მთავრობას და „მხედართმთავარს“ თუმცა, წყალი იმდენი გვაქვს, იქით, გავუგზავნიდით, გამშრალი პირი რომ გაეგრილებინათ. ზღაპარია, თითქოს, აქ, სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტების ჩამოსვლამ, რუსეთის აგრესია შეაჩერა. რეალურად, პრეზიდენტები, აქ, მხოლოდ მას მერე ჩამოვიდნენ, რაც ხელშეკრულება გაფორმდა და სააკაშვილმა საქართველო პუტინს ჩააბარა. თუმცა, სარკოზი იყო ჩამოსული და შუამავლის როლიც შეასრულა, რასაც ნამდვილად, ვერ დავუკარგავთ. **არგუმენტი — იუშენკოს ჩამოსვლამ რუსული არმია შეაჩერაო, ისეთივე ტყუილია, როგორც ის, რომ ჩვენ რუსეთს რძით ვამარაგებთ.** რუსული არმია გააჩერა კაპიტულაციამ, რომელიც სარკოზის შუამდგომლობით სააკაშვილმა გამოაცხადა. ასეთია რეალობა.

ბუქარესტის სამიტის 14 წლის თავზე, გაუთავებელი და შეუსრულებელი დაპირებების შედეგად, 21-ე საუკუნეში უკვე მეორედ, ამჯერად, უკრაინა დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების ასპარეზად აქციეს...

**— ქვეყნის მტრები, სააკაშვილის თამადობით, საპროტესტო აქციებით თუ საპარლამენტო გამოსვლებით, მოგვიწოდებენ: რუსეთს დავუპირისპირდეთ, სანქციები დავუწესოთ და ა.შ. იმასაც ამბობენ: აფხაზეთში და სამაჩაბლოში შესვლისთვის ხელსაყრე-**



4 გვ.

# ჩვენ გადაგვარჩინა იმან, რომ სახელმწიფოს მართვის სათავეში გამოჩნდნენ ადამიანები, ვისთვისაც საქართველო, უპირველეს ყოვლისა, არის ჯერ სამშობლო და მერე პოლიტიკური ასპარეზი

← 3 გვ.

**ლი დროაო. რას ემსახურება ყოველივე?**

— სააკაშვილი თვითაღიარებების დიდოსტატია. ბრალის წარსადგენად, მისი განცხადებებიც საკმარისია. ყოველი მისი გამოსვლა ჩადენილი დანაშაულების მტკიცებულებაა. **რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა განაცხადა, რომ პუტინს 30-ჯერ შეხვდა, რაზეც ყურადღება არავის გაუმახვილებია. საინტერესოა, როდის შეხვდა პუტინს 30-ჯერ?!** რამდენადაც ჩემთვის ცნობილია (იმჟამად, მთავრობის წევრი გახლდით), პუტინთან ოფიციალური შეხვედრა მხოლოდ ერთხელ ჰქონდა. შეიძლება მე, გამომრჩა და ორჯერაც შეხვდა, მაგრამ რუსეთის უშიშროების ეფრეიტორმა სააკაშვილმა იქნებ გაგვიმარტოს: 30-ჯერ რატომ, რა ვითარებაში, სად, რისთვის და როდის შეხვდა პუტინს?! ამ კითხვებზე პასუხებია საჭირო!

**სააკაშვილი 2003 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანოვმა დასვა ხელისუფლებაში. იგორ გიორგაძის ნაჩუქარი მანქანით დადიოდა და ქვეყნის სათავეშიც სწორედ მისი მხარდაჭერით მოვიდა.** მერე, რა ძალებმა დაიწყეს მისი გამოყენება და რა ინტერესები ამოძრავებდათ სააკაშვილთან მიმართებით, არც ეს არი დაფარული. ორმაგი და სამმაგი აგენტების გამოყენებას საკუთარი ინტერესების გასახორციელებლად ბევრი ქვეყანა ცდილობს. მით უმეტეს, როცა საქმე გავლენების სფეროების გადანაწილებას ეხება. საქართველოს, როგორც კავკასიის საკვანძო ქვეყნის მიმართ, ინტერესი დასავლეთის, აღმოსავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის ერთნაირად გააჩნია. სააკაშვილს თუ დასჭირდა ქვეყანას ორ შაურად გაჰყიდის და ასეც, მოიქცა-კიდეც. გაგახსენებთ: მისი ბიძა, კაგებეს გენერალი თემურ ალასანია, ომის წინ და მისი მიმდინარეობის დროს, უშიშროების საბჭოს სხდომებში მონაწილეობდა, რამაც საქართველოში რუსული აგრესიის განხორციელებას ხელი შეუწყო. ეს არამხოლოდ საზოგადოების ყურადღების, არამედ გამოძიების საქმეა. ვიმეორებ, **სახეზეა ქვეყნის ღალატი. ადამიანთა ეს ჯგუფი მოწადინებულია დაანგრიოს და დაამონოს ჩვენი ქვეყანა.** ვინ იქნება „ხაზეინი", ამას გასამრჯელოს რაოდენობა გადაწყვეტს...

**— დავუბრუნდეთ, უკრაინას, კონკრეტულად, მის ხელმძღვანელ ზელენსკის, რომლის დამოკიდებულება საქართველოსადმი აგრესიული, უმადურია. მან, საქართველოს ხელისუფლებას ამორალური უწოდა. მის მარჯვენა ხელს — არახამიას კი, თურმე, ქართველობის რცხვენია. რა გამოდის, ჩვენ მხარს ვუჭერთ და მისგან საყვედურებს ვისმენთ: ომში რატომ არ ჩაებითო?**

— არახამია, გიორგი კანდელაკი, გვარამია, დეკანოიძე, დემნა დევდარიანი და ა.შ. უსამშობლო ხალხია. რაც შეეხება ზელენსკის თუ რადის თავჯდომარეს, ამჯერად, თავს შევიკავებ მათი გამონათქვამების კომენტირებაზე. მოვა დრო და პასუხს ყველას გავცემთ, ჩვენც და უკრაინელი ხალხიც. თუმცა, ერთი რამ ცხადია: თეატრალური და პოლიტიკური სცენა, ორი სხვადასხვა სამყაროა. თითოეულს თავისი წესი და პასუხისგებლობა აქვს. დღეს, რაც ზელენსკის, უკრაინის თავს ხდება, იმდენად მძიმე სურათია, რომ თანადგომის და დახმარების გარდა, სხვა ყველაფერი უადგილოა. ჩვენი ძმები და დები უკრაინელები არიან და არა არახამიები, გონჩარენკოები, გორდონები და სხვა. ყველა ჩვენთაგანის გული ცრემლებით ივსება უკრაინელი ხალხის მდგომარეობის გამო. როგორ მოქმედებენ და რას იმსახურებენ უკრაინის ხელმძღვანელები, ამას მომავალი და უკრაინელი ხალხი გადაწყვეტს. ჩვენ კი, დრო გვიჩვენებს. რასაც საქართველო უკრაინისთვის აკეთებს, მსოფლიოში ცოტა ვინმეს თუ სწადია, მსგავსი არცერთი ქვეყნიდან არ ხორციელდება. იცით, რატომ? — ჩვენ, გულით, სიყვარულით, მშვიდობით ვეხმარებით და არა ბომბებითა და ზარბაზნებით. ეს გახლავთ უკრაინისადმი ორი სხვადასხვა მიდგომა, დამოკიდებულება. ჩვენ, გვენანება ეს ქვეყანა და გვინდა მშვიდობა დამყარდეს, ხოლო მავანთ სურთ საკუთარი უსაფრთხოება და ინტერესები უკრაინელი ხალხის სიცოცხლით დაიცვან. უკრაინელ ხალხს და კრებით არახამიებს ერთმანეთთან ნუ გავაიგივებთ. რუსეთთან მოლაპარაკებებს, რომელსაც სათავეში, რუსეთში დაბადებული, გაზრდილი, დაფრთიანებული და რუსული მენტალობის მქონე სუბიექტი უდგას, მე რომ მკითხო, დიდი პერსპექტივა არ გააჩნია,.







**— ბატონო გოგა, იცით რას დავაკვირდი — უკრაინის მთავრობაც და ნაცებიც ერთიდაიმავეს მოგვიწოდებენ: ომში ჩავებათ და რუსეთს ვებრძოლოთ. ანუ, ორი „ნაცმოძრაობა" მივიღეთ, რომელიც აქედანაც გვიტევს და უკრაინიდანაც?**

— „ნაცმოძრაობა"— აქაც და იქაც, ერთსახაა. მათ მიერ გაკეთებული კეთილი საქმე ბუნებაში არ არსებობს. ეგენი არიან მწამებლები, მწვალებლები, მექრთამეები, მოღალატეები. თუ რამ მანკიერება არსებობს, ისინი, ყველაფერს, თავის არსში აერთიანებენ. მათ, ზნეს რა შეუცვლის. უკრაინაში იგივე დავალებით იყვნენ დესანტირებული, რაც აქ, ჰქონდათ. გაიხსენეთ, რა მოიმოქმედა სააკაშვილმა უკრაინაში — კონსტიტუცია გათელა, კანონები შეურაცხყო, კორუფცია გააჩაღა, ყველგან შფოთს და დაპირისპირებას თესავდა. არახამია ზელენსკის დასაყრდენი ფიგურა, რომ არის, ამიტომაცაა ეს ქვეყანა ამ დღეში. უკრაინის პოლიტიკურ ელიტას მეტი ჭკუა რომ ჰქონოდათ, მარტივად გაიაზრებდნენ, რომ უახლოეს პერსპექტივაში ნატოში მიღების არანაირი შანსი არ არსებობს, რაზეც დასავლეთის ქვეყნების და ნატოს ლიდერები ღიად საუბობდნენ. ამავდროულად, რუსეთიდან, სწორედ ამ საბაბით, სასიკვდილო საფრთხე მოდიოდა. ამის გაანალიზებას დიდი გამჭრიახობა არ სჭირდებოდა, თუმცა არახამია წამყვან პოლიტიკურ ფიგურად, რომ გეყოლება... რუსეთი, რომ იმპერიალისტური ქვეყანაა და პუტინის მთავრობა აგრესორი, მთელი მსოფლიოსთვის, თუ მანამდე თავს იტყუებდნენ, საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ცხადი შეიქნა. ამის დანახვაც ზოგმა ვერ, ზოგმაც კი არ მოინდომა.

**— როგორ ფიქრობთ, სადამდე მივალთ ნაცების პროვოკაციული გეგმის განხორციელების შემთხვევაში? რუსეთმა რომ მოინდომოს, საქართველოზე კონტროლს ერთ დღეში დაამყარებს, გაყოფს არამარტო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ რეგიონალურ პრობლემებსაც შექმნის.**

— **თბილისიდან 35 კილომეტრში დაქოქილი რუსული ტანკები დგანან. ერთ საათში აქ იქნებიან. ზღვიდან გადაკეტავენ ფოთს, აფხაზეთიდან სამეგრელოს, გიუმრის ბაზიდან სამხრეთ-საქართველოს.** ამ გეგმის განხორციელებას ძალიან ეწადნენ, ნაცების და ამ ბაციკუკუ პოლიტიკოსების ხელით, ჩვენი ვაიმეგობრები, მადლობა ღმერთს, გეგმა ჩაეშალათ. იცით რატომ? — იმიტომ, რომ **როგორც იქნა, დამოუკიდებლობის 30 წლის თავზე, ჩვენს ქვეყანას სათავეში გონიერი და სამშობლოს ერთგული ხელისუფლება ჰყავს. ჩვენ გადაგვარჩინა იმან, რომ სახელმწიფოს მართვის სადავეებთან აღმოჩდნენ ადამიანები, ვისთვისაც საქართველო არის, უპირველეს ყოვლისა, ჯერ სამშობლო და მერე, პოლიტიკური ასპარეზი,** წარმატებული კარიერა და უცხოელების ტაში, დაირა! ასეთი გახლავთ ირაკლი ღარიბაშვილი, ირაკლი კობახიძე, თეა წულუკიანი, ლევან დავითაშვილი, კახა კალაძე, გრიგოლ ლილუაშვილი თუ ვახტანგ გომელაური. **გუნდში, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს, მთავარი განცდა სამშობლოს სიყვარულია.** ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ისინი უპირველესად ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ და არა მსოფლიოში არსებული, რომელიმე ინტერესის სასარგებლოდ. მათ საქართველოს დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება და კეთილდღეობა სურთ, საკუთარ და არა სხვის ჭკუაზე სიარული.

უხსოვარი დროიდან, ყველა სახელმწიფო, მით უმეტეს, ძლევამოსილი, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში გავლენების მოპოვებას ცდილობს. ამჟამადაც, დასავლეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთში თუ სამხრეთში, ჩრდილოეთზე აღარაფერს ვიტყვი, ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი წრეების გარდა, არიან ისეთებიც, ვისაც უნდა ჩვენი ქვეყანა ამოიდოს და საკუთარ ჭკუაზე ატაროს, თავის მერკანტილურ თუ სტრატეგიულ ინტერესებს დაუქვემდებაროს. ხოდა მათ, ამ ამოცანის შესრულებაში, ზოგი ნებსით და გააზრებულად, ზოგი კი, უმეცრებით და ბოლომით გონდაბნელებული თუ პატივმოყვარეობით შეპყრობილი, ხელს უწყობს და ემსახურება. ამ კატეგორიაშია: სამადაშვილები, დეკანოიძეები, ხოშტარიები, ლელოები, აღმაშენებლები და ფსევდო-ევროპელები. მათთვის სახელმძღვანელო და ძვირფასია, რა თქვა: კელიმ, ფოტიგამ, კუბილიუსმა, კოფიმ თუ სხვამ. ამოსავალი წერტილი არის: რა სჭირდება იქაეთს, საიდანაც მხარდაჭერილი, დაფინანსებული და ადვოკატირებულები არიან. აბა, ის კი არ აინტერესებთ, რა თქვეს: პეტრემ, ივანემ, დავითმა, ნინომ... მთავარია, დასავლეთში ბილდმა რა თქვა. ეს კოლექტიური ნაცები სწორედ იქედან იმართებიან, მათი ჭკუით ხელმძღვანელობენ. დიახ, **ნაციონალებისთვის საქართველო მხოლოდ ასპარეზია, ღარიბაშვილისთვის კი ეს — სამშობლოა. ამიტომაც, დააფიქსირა პრემიერმა რთული, პირადულად დამაზიანებელი, მაგრამ ერთადერთი სწორი, პრინციპული პოზიცია.** მან განაცხადა: ჩვენ, თვითმყოფადი, დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, რომელიც მზად არის ხელი გაუწვდინოს და შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს მეზობელ ქვეყანას, მაგრამ პირველ რიგში, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთო. ეს არის ხელისუფლება, რომელიც ქართველი ხალხის, სახელმწიფოს ინტერესებით ხელმძღვანელობს. ვიმეორებ, საქართველო უპირველეს ყოვლისა და მერე, სხვა დანარჩენი. ამ დიდი განსაცდელის ჟამს, როდესაც ყოველდღიურად ვრწმუნდებით, რომ რუსების ხელიდან მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია, როგორ გაგრძელდება ის, დრო გვიჩვენებს. დარწმუნებული ვარ, როდესაც ეს სიგიჟე დამთავრდება, ღმერთმა ქნას, მშვიდობა დაისადგურებს, ჩვენ, სულ სხვა ქვეყანა ვიქნებით და ჩვენდამი მთელს მსოფლიოში, მტერშიც და მოყვარეშიც, დამოკიდებულება შეიცვლება. ეს, უკვე, იგრძნობა, ჩვენი სტრატეგიული









და სხვა პარტნიორების განცხადებებში. პოლიტიკურ ასპარეზზე სცემენ პატივს მას, ვინც თავად სცემს საკუთარ თავს და ქვეყანას პატივს. მადლობა ღმერთს, ამის მოწმე გავხდით, რაც ყველა ჩვენთაგანისთვის ძალიან საამაყოა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას აღმოაჩნდა გამბედაობა და ნება — საკუთარი ქვეყანა, მისი უსაფრთხოება და ინტერესები პირველ ადგილზე დააყენა. დღევანდელ მსოფლიოში, ეს იშვიათობაა. ესეც უფლის ნებაა, რომ საქართველოს, მის მომავალს პოლიტიკური ტაკიმასხარა სააკაშვილი უპირისპირდება და არა ბევრად უფრო სერიოზული ფიგურები, რომელთა დასმა საქართველოს სათავეში ბევრ ფსევდომეგობარს სწადია.

**— ნაცებს მიზნისთვის რომ მიეღწიათ, ამას ხელს ხომ ვერც ნატო შეუშლიდა, ვერც ევროკავშირი და ვერც ვერავინ?**

— იმ პირობებში, როცა ჩვენ მოწმე ვართ, პოლემიკის ამერიკასა და პოლონეთს შორის, უკრაინისთვის სამხედრო თვითმფრინავების გადაცემასთან და უკრაინის ცის დაკეტვასთან დაკავშირებით, რაც უკრაინისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და რის გამოც უამრავი უდანაშაულო ადამიანი იღუპება, ნატოს ქვეყნების ლიდერების მხრიდან, როდესაც სახელმწიფო მდივანი პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე, უკრაინის ტერიტორიაზე ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავს, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?! განა, რა ისეთ საფრთხეს წარმოადგენდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნისთვის უკრაინის მიწაზე ფეხის დადგმა?! სიმბოლური და უაღრესად გამამხნევებელი იქნებოდა გმირულად მებრძოლი უკრაინელებისთვის, გაჭირვების ჟამს, ბლინკენს უკრაინის მიწაზე ფეხი რომ დაედგა და განეცხადებინა: ჩვენ, აქ ვართ, თქვენთან ერთად, ესეც ხომ თვითმფრინავები არ არის. ვერ გაბედა ამის გაკეთება, კულება და ლტოლვილები აქეთ, გადმოიყვანა. ეს არის რეალობა, რასაც თვალი უნდა გავუსწოროთ. მე, არავის დაკნინებას არ ვაპირებ, ყველა თავის ქვეყნის და ოჯახის უსაფრთხოებაზე ფიქრობს. ეს ბუნებრივია, ოღონდ, ამ ფიქრში და გადაწყვეტილებებშიც, ყველა თანაბარ პირობებში უნდა ვიყოთ. უბრალოდ, მინდა ქართული საზოგადოება დავფიქრდეთ: როგორ მსოფლიოში ვცხოვრობთ, რა მარტივად ეწირებიან ქვეყნები დიდ ინტერესებს. ჩემთვის გაუგებარია: **მხოლოდ იმიტომ, რომ უკრაინის მეთაურს სხვა, 26 ქვეყნის მეთაურის მსგავსად, რაღაც ერთ ფურცელზე ხელი არ აქვს მოწერილი, ამიტომ, დასაშვებია რუსეთმა უკრაინა მიწასთან გაასწოროს**?! ვთქვათ, პოლონეთის ან ბალტიის ქვეყნების მიწასთან გასწორება არ შეიძლება და უკრაინის, საქართველოს შეიძლება?! რა ლოგიკაა? რა რეფორმები აქვს ასეთი ჩატარებული ლატვიას ან ალბანეთს, რაც მათი მოქალაქეების სიცოცხლეს აგრესორის ყუმბარებისგან იცავს, ხოლო უკრაინის და საქართველოს მოქალაქეებს არა?! ესაა დემოკრატია?! ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა?! გაუგებარი, ეკლექტური ფსევდოპრინციპების ნაზავით, რელიგიის ჩანაცვლებას და პირველ რიგში, ქრისტიანობის მოსპობას აპირებდნენ?! ეს არის თანამედროვე ლიბერალიზმი, რომელმაც ქალი კაცად აქცია და კაცი ქალად და ორივე ერთად გაუგებარ არსებად. ბავშვებს მოუწოდებენ: რომ გაიზრდებით მერე აირჩიეთ — კაცი ხართ თუ ქალიო. როდესაც ბუნების, ღმერთის წინააღმდეგ მიდიხარ, ხდება ის, რაც დღეს მთელს მსოფლიოში სახეზეა. ახლა, სხედან და ერთი ადგილი უკანკალებთ, ვაიდა დააჭირა ღილაკს იმ გადარეულმა... ვიმეორებ, ამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ.

**— კი ბატონო, მით უმეტეს, რომ ნატო თავად აცხადებს: კონფლიქტში ვერ ჩავერთვებიო.**

— პუტინმა ომი დასავლეთს და ნატოს გამოუცხადა. ამჟამად, სამხედრო მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე ხდება. უკრაინისთვის ევროკავშირში და ნატოში გზა ხსნილიაო — აცხადებდნენ. აი, რა გზა გამოდგა. ჯერ, თითქოს, უკრაინას მწვანე შუქი აუნთეს. თუმცა, ვერსალში აღმოჩნდა, რომ კანდიდატობაც კი დროს მოითხოვს. რამდენს ნეტავ? თურქეთს, აგერ, უკვე, 30 წელია მწვანე შუქი ანთებული აქვს და ევროკავშირში ჯერ კიდევ არ მიუღიათ. თვალთმაქცობა, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე, პრიორიტეტად იქცა. შედეგიც სახეზეა.

ამ დღეებში, ერთმა მეგობარმა მითხრა: ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ საქართველო კიდობანშიაო. მეც მაქვს იგივე შეგრძნება. ჩვენ, თუმცა ცოდვილი, მაგრამ მუდამ უფლის მოყვარე და ერთგული ერი ვართ. გადავრჩებით! ამ დროისთვის, უკვე, გადავრჩით. ჩვენთან მეორე ფრონტი უნდა გახსნილიყო. ვერ მივართვით! **მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს, ეყო ვაჟკაცობა და გონიერება, თავის თავზე აიღო დარტყმა და ამ უბედურებას აგვაცილა.**

**— თუ გავიწირებოდით, ქვეყანას დავკარგავდით, მაგრამ ნატოც ხომ დაკარგავდა საქართველოს, როგორც ერთადერთ საყრდენს რეგიონში?**

— ნატოს საქართველო ჯერ არც არასდროს უპოვია და როგორ უნდა დაგვკარგოს?! ჩვენი ჯარისკაცები კი, იცოცხლე, ავღანეთში 20 წელი ერთგულად ვედექით მხარდამხარ. ნატოს მომავალს ბევრად განაპირობებს ეს ომი, ისევე როგორც ევროკავშირის. ჩვენი ნატოში მიღება რომ ნდომოდათ, 2008 წლის მერე, 14 წელი გავიდა და წესით, უკვე, გაწევრიანებულიც უნდა ვყოფილიყავით, ისევე, როგორც უკრაინა. ახლა გვიანაა, ნატო უკრაინას იმისთვის სჭირდებოდა, რომ ეს არ დამართნოდა რაც დაემართა და დაცული ყოფილიყო... ჩვენი არ იყოს.

**— ბატონო გოგა, არაერთხელ ახსენეთ, რომ ნაცები რუსულ საქმეს აკეთებენ. ამის დასტურია: 2008 წლის ომი, სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემა, მასზე ფინანსურად, ეკონომიკურად მიბმა და ა.შ. მაშინ, რატომ გავიძახით: სათანადო მტკიცებულებები არ გვაქვსო?**

— სწორედ მაგ მიზნით, თავის დროზე, პუტინმა, აქ, ბენდუქიძე გამოგზავნა, რომელმაც მიშასთან ერთად დავალება შესანიშნავად შეასრულა. დღევანდელმა, გუშინდელი დღე დაადასტურა. **ყველაზე ანტირუსები საჯაროდ ისინი არიან, ვინც რუსულ საქმეს აკეთებენ. ეს დაზვერვის კანონია. „პრო-ევროპელია" სააკაშვილი, გრიგოლ ვაშაძე, ნაყოფია, ხოშტარია, ალასანია, სამადაშვილი. თუმცა, ვის საქმეს აკეთებენ?!**

როდესაც 2008 წლის ომი დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციონერებმა ვიცოდით: სააკაშვილი რისი მაქნისი იყო, პირველი რაც გავაკეთეთ, კრიტიკა და აქციები შევწყვიტეთ. ჩვენს ქვეყანაში მტერი რომ შემოიჭრა, ყველანი სამშობლოს მხარეს დავდექით! ესენი რასაც დღეს ჩადიან, ამას რა გამოძიება სჭირდება?!

**— აგვისტოს ომი არაერთხელ ვახსენეთ. ნაცები ახლა რომ გაჰკივიან: რუსებს სანქციები დაუწესოს მთავრობამო, თუ გახსოვთ, მაშინ თავად რა სანქციები დააწესეს ხელისუფლებაში მყოფებმა?**

— რა სანქციებზეა ლაპარაკი, უვიზო რეჟიმი აღადგინეს რუსეთთან.

**— კოლექტიურ „ნაცმოძრაობასთან" ერთად მტრულ საქმიანობას ეწევა არასამთავრობოები, „სირცხვილია" და ა.შ. როდემდემ უნდა წყვეტდნენ მაქარაშვილები ქვეყნის ბედს?**

— მაქარაშვილზე ლაპარაკიც არ ღირს. საქართველო თუ ვინმესთვის სამშობლო არ არის, ეს, პირველ რიგში, მაქარაშვილი და ძმანი მისნი არიან.

**— ბატონო გოგა, ჩვენი უცხოელი მეგობრები, პარტნიორები მხოლოდ ოპოზიციის საჩივრებზე რეაგირებენ, ამ პროვოკატორებს უწევენ ანგარიშს და არა ქართველ ხალხს. ჩვენს ხმას როდის შეისმენენ?**

— ყველა ქვეყანაში არიან პოლიტიკური ძალები, რომელთაც საქართველოსადმი განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ. ერთია როგორი მხარდაჭერა გვაქვს კონგრესში, სენატში და ეს ორპარტიული მხარდაჭერაა, ხოლო











მეორეა, რას ამბობს: რიში, იან კელი თუ ბრაიზა. ერთგვაროვანი არც ამერიკაააა, არც ევროკავშირი, არც საქართველო. ზოგი, მხარს გულწრფელად გვიჭერს, ზოგს თავის ინტერესები აქვს. ეს ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ.

**— ვამბობთ: ნაცები ქვეყნის მტრები, მოღალატეები არიანო, მაშინ მათ პოლიტიკოსებს რატომ ვუწოდებთ? ხან ტუალეტის ქაღალდებს ისვრიან და ხან რას, მერე ერთი დღით ვიჭერთ და ისევ ვათავისუფლებთ...**

— ტუალეტის ქაღალდის ხმარება არ იციან და რა ვუყოთ, ეს მათი პრობლემაა. წარმოიდგინეთ, რა დღეშია ადამიანი, რომელმაც ტუალეტის ქაღალდის ხმარება არ იცის? მე თუ მკითხავთ: ქართველმა ხალხმა მათ განაჩენი, უკვე, გამოუტანა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# ქაჯთა სახეები „ნაციონალურ მოძრაობაში“



## ცოცხზე გადამჯდარი მაჯლაჯუნა

1991 წლის შემოდგომაზე საქართველოს მაჯლაჯუნები შემოესივნენ. თავიდან გვეგონა, ეს მაჯლაჯუნები ჩვენს სამშობლოს ვერაფერს დააკლებდნენ, მაგრამ შევცდით. მათ მოსკოვში მთავარ მაჯლაჯუნასთან, ედუარდ შევარდნაძესთან დაამყარეს კავშირი, შეიძლება იმან დაამყარა, მაგას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარი ის გახლავთ, რომ შედეგი ტრაგიკული აღმოჩნდა.

1991 წლის დასასრულს თბილისიდან რუსეთის დედაქალაქში ბევრი ქართველი მოღალატე მიწანწალებდა და მოწანწალებდა. ისინი სსრკ-ის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ეხვეწებოდნენ, ჩამოდი, ფაშისტი ზვიად გამსახურდია დავამხოთ, ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია დავამყაროთ, თქვენი ხათრით ბუში დაგვეხმარება, ჰელმუტ კოლი დაგვეხმარება - თუ საჭირო იქნება, ბუშელები გავხდებით, ჰელმუტელებიც გავხდებით, არაფერს დავიშურებთ, ძალებს არ დავზოგავთო. ყოფილი საბჭოთა, ფაქტობრივად რუსი მინისტრი, თავს შორს იჭერდა, ჯერ დაამხეთ და მერე ჩამოვალ, თუ ფული გინდათ, „პაჟალუსტაო“. აბა, ფულზე უარს ვინ იყტოდა? მოსკოვიდან გამოსაზიდად ირინა სარიშვილი და მისი მეუღლე შეირჩა. მისცეს ცოლ-ქმარს რწმუნებულება, „კლეჩატი“ ჩანთა (ახლა მხოლოდ ლილოს ბაზრობაზე რომ დააქვთ, ადრე მაგარ მოდაში იყო), ულებდნენ ბილეთებს თბილისი-მოსკოვის რეისზე („ტუდა-აბრატნა“) და აზიდინეს ფულები ქვეყნის დასაქცევად. დააქციეს კიდევაც, ამ თახსირებმა.

ირინა სარიშვილი კგბ-ს ნომრიანი აგენტი, ყველაზე ბინძური ქალი საქართველოს უახლეს ისტორიაში. რაც მან 1991 წლის 2 სექტემბერს ჩაიდინა, ეს იყო დიდი პროვოკაცია სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაშინ, როცა თბილისში ჩამოსულ კონგრესმენები ზვიად გამსახურდიას ხვდებოდნენ, სარიშვილისა ჭანტურიას გამართულ აქციაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან ტყვია გავარდა, ერთი ადამიანი დაიჭრა. იმ დღიდან აგორდა ფართომასშტაბიანი მიტინგები, იმ დღიდან დაიწყო არეულობა, იმ დღიდან აღიმართა რუსთაველზე ბარიკადები. ეს იყო რუსეთის დაგეგმილი პროვოკაცია, სადაც შავი სამუშაო შეასრულა ირინა სარიშვილმა. შემდეგ რაც მოხდა, იცით, დეტალურად აღარ გავიმეორებ, 1992 წლის 6 იანვარს პირველი პრეზიდენტი თავის ოჯახთან ერთად გააძევეს, 7 მარტს ედუარდ შევარდნაძე ჩამოიყვანეს, აეროპორტში ტაშით და ყვავილებით დახვდნენ მოღალატეები, მათ შორის იყო ირინა სარიშვილი, რომელიც პირდაპირ ფეხებში ჩაუვარდა და შემდეგ მის მთავრობაში ვიცე-პრემიერიც კი გახდა. მანამდე და შემდეგ იყო პარლამენტის წევრი.

2003 წლამდე შევარდნაძის „მოღვაწეობა“ აღმოჩნდა ბობოქარი. გარდა იმისა, რომ 1994-ში



ჩაცხრილეს ირინას ქმარი, გია ჭანტურია და თვითონ ირინას მხოლოდ დუნდულში გაარტყეს, ორჯერ ააფეთქეს თვით შევარდნაძეც. ამ საქმეებზე დღემდე იძებნება უშიშროების იმჟამინდელი მინისტრი, მოსკოვში გადახვეწილი იგორ გიორგაძე, ის 1995 წლიდან ბრალდებულია ტერორიზმში. ძებნაში ყოფნისას გიორგაძემ დააფუძნა პარტია „სამართლიანობა“ და ორგანიზაცია „ანტისოროსი“. 2003 წელს მას უფლება არ მიეცა, კენჭი ეყარა საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში, როგორც კანდიდატს. 2006 წლის 6 სექტემბერს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა დააკავა პარტია „სამართლიანობისა“ და ორგანიზაცია „ანტისოროსის“ აქტივისტები და გაასამართლა მისი 13 წევრი. ვინ იყო პარტიის თავმჯდომარე? ალბათ გახსოვთ, ირინა სარიშვილი! ამ პარტიის 13 წევრი დააპატიმრეს სამშობლოს ღალატის მუხლით ((სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილი. კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი გზით შეცვლა და შეთქმულების მოწყობა)). მათ შორის იყო ცნობილი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი, რომელიც მოდულის შენობაში აწამეს. პარტიის თავმჯდომარისთვის ბუზი არ აუფრენიათ, რაც ბადებს ეჭვს (რაღა ეჭვს?!), რომ მან კვლავაც გაითამაშა რუსული პროვოკაცია გიორგაძე-საკაშვილთან ერთად. იმჟამინდელი პროკურატურის ინფორმაციით, 2006 წლის 4 მაისს პარტია „სამართლიანობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, იგორ გიორგაძის ცოლის დის შვილმა მაია თოფურიამ პარტიის ცენტრალურ ოფისში სახელმწიფო გადატრიალების გეგმა წარადგინა. გეგმის თანახმად, მოსკოვიდან გადმორიცხული დიდძალი თანხა უნდა მოხმარებოდა მიტინგების მოწყობას, საագიტაციო ბუკლეტების დარიგებას, იარაღის შეძენასა და კანცელარიის წინ მიტინგის მსვლელობისას შეიარაღებული პროვოკაციის მოწყობას. კი, მაგრამ თუკი პარტიაში ამდენი რამე იგეგმებოდა, თავმჯდომარემ და იგორ გიორგაძის ფონდის ხელმძღვანელმა არაფერი იცოდა? იცოდა კი არა, მთავარი პროვოკატორ-გამთამაშებელი ეგ იყო. ირინა სარიშვილი ერთადერთი აღმოჩნდა, ვისაც პროკურატურამ ბრალი არ წაუყენა. საოცარია, თურმე ამ ფაქტს ლოგიკურ ახსნას ვერ უძებნის თავად ირინა (ირინე) სარიშვილი. სხვათა შორის, მართალი ადამიანი მივიდოდა სამართალდამცავ ორგანოებში, ბოლო-ბოლო, ბავშვობის მეგობარ მიხეილ სააკაშვილთან და ეტყოდა, დამნაშავე მე ვარ, თუ ვინმეზე ეჭვი გაქვთ, ჩემზე უნდა გქონდეთ, ეს ხალხი გაათავისუფლეთო. მსგავსი არაფერი ყოფილა.

გია ჭანტურიას მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოცული, კი დააპატიმრეს რამდენიმე „მხედრიონელი“, მაგრამ ეს იმდენად მიფუჩეჩებული საქმე იყო, არავინ დაიჯერა. ერთ ხანობას გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა ამ საქმეში იგორ გიორგაძის ხელი ერიოს. პრინციპში, რატომაც არა? თუკი პრეზიდენტის აფეთქება დაგეგმა და „ბათქიც“ ქნა, გია ჭანტურიას რატომ ვერ გააგორებდა? ადგა ეს ქალი და ისე ჩამოუჯდა ძებნილ გიორგაძეს კაბინეტში, არაფერი გაურკვევია. ფაქტობრივად, ფულის ისეთი მოტრფიალე აღმოჩნდა, გარდაცვლილი ქმარიც კი გადაივიწყა.

თითქმის 40 წელიწადია ეს ქალი პოლიტიკაშია, მაგრამ ეს უბედური მაინც არ ისვენებს, ლამის ყოველ საღამოს მიათრევს ხოლმე თავისნაირი ინგა გრიგოლია „ჭუტლექსვიზიაში“ და არის ერთ ამბავში, ეს უზნეო ქალი ისევ აქეთ გვიკითხავს მორალს. მეტიც, მას თავისებური ბინძური ომი აქვს გამოცხადებული სოციალურ ქსელებში ხელისუფლების წინააღმდეგ. ნახეთ, რას წერს ამ დღეებში:

„მე, საქართველოს მოქალაქე ირინა სარიშვილი, მოვითხოვ საქართველოს მოღალატე მთავრობის გადადგომას და რიგგარეშე არჩევნებს! სანამ გვიან არ არის! რუსული ოცნება, იდი ნა ხუი“!

რასაკვირველია, სარიშვილის ამგვარი გამოხტომა ძალზედ სასაცილოა, რუსეთის დანომრილი აგენტი, იგორ გიორგაძის მარჯვენა ხელი ითხოვს საქართველოს „მოღალატე“ მთავრობის გადადგომას. რატომ არის საქართველოს მთავრობა მოღალატე? იმიტომ, რომ არ ჩაება, ანუ მეორე ფრონტი არ გახსნა რუსეთ-უკრაინის ომში. იმიტომ, რომ უკრაინის პარალელურად არ იღვრება სისხლი საქართველოში. იმიტომ, რომ არ ინგრევა შენობები, ცეცხლი არ უკიდია სახელმწიფო ობიექტებს და ჩვენ არ ვსხედვართ სარდაფებში. აი, ეს უნდა რუსეთის დანომრილ აგენტს, დავალება აქვს, როგორმე უნდა ჩაითრიოს ჩვენი ქვეყანა უბედურებაში:

„ომი უკრაინაშია და საქართველოს მთავრობა ნებდება, ბლიად“!

„რუსეთს დედა ეტყვნება და ჩვენ ჩვენ დედას ვატენით, მართო რო არ იყოს“.

„უკრაინის მხარდასაჭერ მიტინგზე მიხეილ სააკაშვილის არხსენება არის ამორალური და ამას რომ მიხვდე, მიშისტობა არ გჭირდება - უბრალოდ სინდისი უნდა გქონდეს“!

„უფალო, მგონი აგერია სახელებს რო არიგებდი - სირია ჩვენთვის უნდა დაგერქვა“.

„რუსული ოცნების გაყრის და რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნის ნაცვლად ველოდებით ამავე რუსული ოცნების განაცხადს ევროკავშირის წევრობაზე და მერე იქიდან თანხმობას. შიგა გვაქ მგონი, ჩემმა მზემ - თან მაგრად“.

„სანამ სათავეში ტურა გყავს, შენ ვერ იქნები ლომი! მოვრჩეთ გულზე მუშტების ბრახუნს - მე კარგი ვარ და მთავრობაა ცუდი! მოვრჩეთ ერთმანეთისკენ ხელის შვერას ოპოზიცია და ხალხი, ვინაა დამნაშავე! ავეთრიოთ ყველა ერთად და გავეთრიოთ გარეთ და არ დავიშალოთ სანამ ამ მოღალატეებს ხელისუფლებას არ დავატოვებინებთ! ავეთრიოთ და გავათრიოთ“!

ხედავთ, რანაირ „მარგალიტებს“ აფრქვევს ყავლგასული აბრაკადაბრა? ამას რომ სტუდიაში დასვამ და სამშობლოს სიყვარულზე ალაპარაკებ, ამას ან ბოღმის გამო მაინც აკეთებ, ან კიდევ მხოლოდ იმიტომ, რომ ინგა გრიგოლია ხარ და უფროსად გვარგადაკეთებული ჭუტა წერეთელი გიზის. ამაზეც ამბობენ, იმ გვარისა არ არი, რასაც აცხადებენ, სარიშვილი მერე ირგუნაო. ახლა ნუ მეტყვით, გვარი არაფერ შუაშია, დაყენდი, ემანდ სხვა რამე ფობიაში არ ჩაგითვალონო. ეეეჰ... სწორედაც რომ გვარი და გვარიშვილობაა შუაშიცა და თავშიც.

თურმე საქართველოს მოქალაქე ირინა სარიშვილი ითხოვს საქართველოს მოღალატე მთავრობის გადადგომას და რიგგარეშე არჩევნებს. სანამ დროა, თურმე „იდი ნა ხუი”. დავუშვათ, მთავრობა გაგიჟდა, გადადგა და მეორე დღესვე დანიშნა ვადამდელი არჩევნები - მერე რა იქნება, ამ ცოცხზე გადამჯდარ მაჯლაჯუნას რისი იმედი აქვს, ისევ ვიცე-პრემიერად მოგვევლინება თუ ხალხი პარლამენტში შეიყვანს გოგმანგოგმანით?

ჩემი დაკვირვებით, საქართველოს ნორმალური ხელისუფლება მეორედ ჰყავს, პირველმა 7 თვე იარსება, ეს უკვე მეათე წელს ითვლის. ის ხომ დაამხო ამ ცოცხზე გადამჯდარმა ალქაჯმა, ახლა ამის დამხობაც უნდა, ბინძური სული არ ასვენებს!

ეს ვადაგასული არსება (როგორც ხედავთ) ამჟამად არის „ნაციონალური მოძრაობის“ სახე. ამ არსებაში არის განსხეულებული მთელი „ნაციონალური მოძრაობა“. ის ალბათ მომავალშიც ასე და ამგვარად იყეფებს, მაგრამ მადლობა უფალს, ვადაგასული უბედურებაა, რომელსაც ნეხვის ქექვის მეტი აღარაფერი შეუძლია!

# ცოფიანი კატა



„ნაცმოძრაობის“ დეპუტატი ხატია დეკანოიძე კატეგორიულად ითხოვს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი პარლამენტში გამოცხადდეს და ანგარიში ჩააბაროს.

იცით, ეს რა შემთხვევაა? თუ გნებავთ, მსოფლიო დონეზე გადაამოწმეთ, მსგავს სითავხედეს ვერსად აღმოაჩენთ - იქით დასაბარებელი ობიექტი აქეთ იბარებს, ღალატში ეჭვმიტანილი პასუხს იქით ითხოვს!

ამ დღეებში „უკრაინა 24“-ის ეთერში გავიდა გადაცემა, სადაც საქართველოზე იყო საუბარი. „სკაიპით“ ესეც ჩართეს, უკრაინის ეროვნული პოლიციის ყოფილი უფროსი. 2015 წელს სულ რამდენიმე თვე იმუშავა ამ თანამდებობაზე, როგორ სწრაფად და გამაოგნებლადაც დააწინაურეს, ისე სწრაფადვე ჩამოალაბორანტეს და გამოაპანღურეს. შეიძლება მიხეილ სააკაშვილის „ნარძლევად“ იყო ნამუშევარი, შეიძლება ზოგის თვალში ეს დიდ ტიტულადაც ითვლებოდეს, მაგრამ რეალობა მაინც სხვას ითხოვს - გამოცდილებას, განათლებას, დამჯდარ ჭკუას, შეგნებას და კიდევ ათას წვრილმანს. აშკარაა, ეს ქალი, რომელიც ტელევიზორიდან ყოველდღე თვალებს გვიბრიალებს (გვაჭყეტს), ამ რაღაცებისგან ძალიან შორსა ბრძანდება. აგერ ფაქტი... ჩართეს უკრაინელებმა „ლაივში“ და ეგრევე დაიწყო ქვეყნის ამოსვრა ტლაპოში! დიახ, ესენი ცხოვრობენ ტლაპოში და ცდილობენ, ქვეყანაც ჩაითრიონ!

დეკანოიძემ მთელ მსოფლიოს მოსდო, საქართველოს ხელისუფლება შავ ხვრელებს ეძებს, რათა ვლადიმერ პუტინს დაეხმაროსო:

„სიმართლე გითხრათ, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ საქართველოს ხელისუფლებაში იქნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ამ რთულ დროს, როდესაც უკრაინაში ადამიანები იღუპებიან და მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა პუტინისა და რუსეთის ეკონომიკის წინააღმდეგ ასეთ მკაცრ სანქციებს აწესებს, ქართველები, ანუ საქართველოს ხელისუფლება ეძებს რაღაც შავ ხვრელებს, რომ დაეხმარონ პუტინს, შექმნას იარაღი, რათა შემდეგ მოკლას“.

ალიო... შესაბამისო ორგანოებო, ალიო!

ეს „პრავაკატორი“ იძახის, საქართველოს ხელისუფლება ეძებს ხვრელებს, რათა რუსეთს დაეხმაროს იარაღის შექმნაშიო!



სასწრაფო წესით უნდა დაკითხოს: რა ხვრელები, რის იარაღი, რომელი რუსეთი, სადაური მათე, რა ატმი კურკა?

თან არ დაგავიწყდეთ, აღნიშნული ქალი დეპუტატია, საქართველოს პარლამენტის წევრი, რომელიც აშკარად ეწევა მავნებლურ საქმიანობას და არ დაიჯერებთ, ჩვენ ამ მავნებელს, ამ ღალატის მქმნელს ვუხდით ხელფასს (არც ისე ცოტას!).

ვიმეორებ: დაკითხეთ სასწრაფო წესით და არგუნეთ ის, რასაც იმსახურებს, თორემ თუ ქვეყანა დააზარალეს, მერე გვიანი იქნება!

მაშინ, როცა რუსეთს ლულა თბილისისკენაც აქვს მოშვერილი და ირგვლივ ქაოსია, ესენი ეწევიან ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. იცის, დეკანოიძემ, როგორ არ იცის, რომ სრულ აბსურდს ლაპარაკობს, მაგრამ გამწარებულ უკრაინელებს ამას აუხსნი? რომც აუხსნა, დააჯერებ? ვერც აუხსნი (ახლა მაგისი დრო არ არის), ვერც დააჯერებ, მიუხედავად იმისა, რომ ცამდე მართალი ხარ, მაინც დამნაშავე გამოდიხარ. მე თუ მკითხავთ, ეს ქალი მხოლოდ შესაბამის ორგანოებში დასაბარებელი კი არა, ბრალიც უნდა წარედგინოს და რაც ეკუთვნის, მიეზღოს!

რაღა დაგიმალოთ და... საზოგადოების დიდ ნაწილთან ერთად მეც გავბრაზდი!

მერე რა, რომ გავბრაზდი?

არც არაფერი... თქვენ გგონიათ, ქალი, რომელმაც სახელმწიფოს არნახული ბრალდება წაუყენა, სადმე დაიბარეს, დასვეს და შეკითხვები დაუსვეს? თქვენც არ მომიკვდეთ, როგორც სხვებს, არც მისთვის აუფრენიათ ბუზი, მუმლი და ქინქლა. სამწუხაროდ, მოღალატეებს ხელ-ფეხი აქვთ გახსნილი, 2007 წლიდან ჩვენს კანონმდებლობაში შესაბამისი მუხლი აღარ არსებობს, 307-ე მუხლი ამოიღეს, გააუქმეს, წაშალეს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, ვინმემ (დეკანოიძეებმა) დანაშაული ჩაიდინოს და პასუხი არ მოეთხოვოს, ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებებისთვის გასამართლებას შემდეგი მუხლებით: 310 - საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა; 311 - უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა; 312 - საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ხელყოფა; 313 - სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა; 314 - ჯაშუშობა; 315 - შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად; 316 - სამხედრო ხელმძღვანელობის უკანონოდ ხელში ჩაგდება ან კანონიერი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა; 317 - მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ; 318 - საბოტაჟი. სისხლის სამართლის კოდექსში არის სხვა მუხლებიც, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, რაც ვახსენეთ, ბრალის წარსადგენად ესეც საკმარისია. მე არ გახლავართ იურისტი, მაგრამ აშკარად ჩანს, დეკანოიძის დასჯა ორი ან სამი მუხლით არის შესაძლებელი: საბოტაჟი, საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა, ჯაშუშობა. აბა, დაუკვირდით, ეს ადამიანი ჩვენს სახელმწიფოს ადანაშაულებს, ღია ეთერში ბრალს სდებს, თითქოს რუსეთის ხელი-



სუფლებასთან ერთად ქმნის რაღაც იარაღს, რომლითაც უკრაინელებს „კლავს“. ბოდიშს გიხდით ასეთი ჩიქორთული ქართულისთვის, თვითონ ასე ლაპარაკობენ და არ მინდა, სტილი დავუკარგო.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ფართო მოქმედების საშუალებას იძლევა, ამ დღეებში საზოგადოება მაინც ითხოვს კანონის მიღებას დეზინფორმაციისა და ცილისწამების შესახებ. ვეთანხმები საზოგადოებას, ერთია სისხლის სამართლის კოდექსი და მეორეა კონკრეტულად კანონი დეზინფორმაციის შესახებ, ანუ „ფეიკის“ აკრძალვის შესახებ. ეს აუცილებელია, ეს უკვე გააკეთეს საფრანგეთში, გერმანიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში. მაშინ, როცა მთელი მსოფლიო საინფორმაციო ომშია გახვეული, ჩვენ არ გვაქვს ამ ნიაღვარის შემაკავებელი კანონი. ერთადერთი, რაც დღეს კეთდება, მოღალატეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა აღნუსხვა და ერთგვარი მხილებაა, რაც ნამდვილად არ არის საკმარისი. კი, ბატონო, აღვნუსხოთ, ვამხილოთ, პროვოკაციას ვუპასუხოთ, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი, თუ ეს ყველაფერი არ გაამაგრა კანონმა, გამოდის, უბრალოდ ვებრძვით გებელსის მიერ აპრობირებულ ილეთებს. ვის, ვის და... „ნაცებს“ ყველაზე კარგად აქვთ ათვისებული მესამე რაიხის ილეთები - დააბრალე ადამიანს (ადამიანებს) ყველაზე დიდი სიბინძურე, დაე მან იმართლოს თავი, რომ აქლემი არ არის და წამდაუწუმ არ იფურთხება.

მოდით, ახლა ჩამოვთვალოთ ის დანაშაულობანი, რაც კოლექტიურმა ხატია დეკანოიძეებმა ჩაიდინეს უკრაინაში ომის დაწყების დღიდან. მოღალატეებმა შეგნებულად გაავრცელეს უამრავი დეზინფორმაცია, რათა საქართველოსთვის სახელი გაეტეხათ და საგარეო მტრები მოემრავლებინათ:

პირველი - თურმე ჩვენს ქვეყანაში შემოვიდა 500 ათასი რუსი ეროვნების ადამიანი, რომლებიც მალე დაიწყებენ პუტინის დავალებების შესრულებას. აღმოჩნდა, რომ შემოსვლის მსურველთა 95% ქართველია!

მეორე - თურმე საქართველოს ხელისუფლება პუტინთან გარიგებაზე წავიდა, უახლოეს ხანში რუსეთის ბაზარი უნდა გავავსოთ რძითა და ყველით, არადა საქართველოში ჩვენი სამყოფი რძე და ყველიც კი არ გვაქვს!

მესამე - თურმე პერიოდულად ხდება ქართული საჯარისო ფორმირებების მდებარეობის შეცვლა. თურმე არსებობს ეჭვი, რომ ქართულმა ჯარმა უკრაინას უნდა დაარტყას, როგორც მოსაზღვრე, ანუ მეზობელ სახელმწიფოს. დეკანოიძეებმა იციან, რომ ჩვენ უკრაინა არ გვესაზღვრება და შესაბამისად, არც მეზობელი სახელმწიფოა, მაგრამ „ჭუტავიზიისა“ და მსგავს უბორნიათა ჟუუუურრრნალისტებმა ამდენი არ იციან, მაგათ იაპონიაც მეზობელი ჰგონიათ. იმათ რომ ამდენი არ იციან, გგონიათ, ჩვენი საზოგადოების ნაწილმა მეტი იცის? გადით, ჰკითხეთ ახალგაზრდებს, დღენიადაგ ტელეფონებს რომ ჩასჩერებიან, საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები ჩამოათვლევინეთ, შეიძლება „ტაივანი“ გაარტყან, დანარჩენს ვერ გიპასუხებენ. სწორედ საზოგადოების ასეთ ნაწილზეა გათვლილი დეკანოიძეთა მიერ გათვლილი გებელსური ფორმაცია.

პოეტმა ლაშა გვასალიამ ხატია დეკანოიძეს „ცოფიანი კატა“ უწოდა. ვეთანხმები. ის არ არის ჩვეულებრივი კატა, ის... როგორც გითხრათ, ის მართლაც ცოფიანია, რომელიც აუცილებლად საჭიროებს კანონის ჩარჩოებში მოქცევას!



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# პატრიოტიზმი თუ იდიოტიზმი?

## რუსეთი უკრაინას ებრძვის, ნაცმოძრაობა – საქართველოს

**ვახტანგ ხარჩილავა**

ვაჟა-ფშაველას ერთხელ ასეთი ფრაზა აღმოხდა: „ღმერთო, შეაყვარე ქართველებს საქართველო“.

რომ მომხდარიყო სასწაული და ვაჟას პარლამენტთან მიმდინარე აქციების წინ ჩაევლო, გაოცებული და გაკვირვებული დარჩებოდა — შეუსმენია უფალს ჩემი ვედრება — ერთბაშად შეჰყვარებია ყველა ქართველს საქართველო და აგერ, ყველა ერთ ხმაში ომახიანად და გულიანად იძახიან: საქართველოს გაუმარჯოს, საქართველოს გაუმარჯოსო!

ასეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას ყველას, ვინც არ იცის, ვინ არიან ეს ადამიანები და ამ გმირულ-ჰეროიკული შეძახილების მიღმა სინამდვილეში რომ არაფერია, გარდა უაზრო ფახიფუხით დატენილი ჰაერისა.

●

ნებისმიერ ქართველს, რომელსაც ქვეყნის სასიკეთოდ თუნდაც მისხალის ღირებულების არაფერი გაუკეთებია, რომ ჰკითხო, საქართველო თუ გიყვარსო, ძალიან ეწყინება და თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს: რა კითხვაა ეს? რას ჰქვია საქართველო არ მიყვარსო.

ამას ისე გულიანად გეტყვის, რომ რწმუნდები, მას მართლა გულწრფელად ჰგონია და გულწრფელად სჯერა, რომ საქართველო ძალიან უყვარს.

ჩვენთან ალბათ არ არსებობს ქართველი, რომელიც სხვანაირად ფიქრობს და საქართველოსადმი მის ალალ სიყვარულში თავად მასაც ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი.

თუმცა, ეს ქართველი ერთ მთავარ და მნიშვნელოვან გარემოებას არ ითვალისწინებს — მან არ იცის, რომ, ზოგადად, სიყვარული და კერძოდ, სამშობლოსადმი სიყვარული, პირველ ყოვლისა, პასუხისმგებლობაა, რომლის გარეშეც სიყვარული ფსევდოპატრიოტობაა და მას ქვეყნისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

●

30 წელიწადია საქართველოში ფსევდოპატრიოტული ყიჟინა არ წყდება და ეს ყიჟინა ზოგჯერ იმდენად მაღალ რეგისტრში ადის, რომ მართლაც პატრიოტი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების ხმას ფარავს.

90-იანი წლებიდან შემოეჩვია ჩვენს ქვეყანას ეს საშიში სენი, ეს ეროვნული უბედურება და დღემდე ვერა და ვერ გავთავისუფლდით ჩვენს ყოფას ლაიტმოტივივით ადევნებული ამ მოვლენისგან.

საქართველომ 30 წლის განმავლობაში ამ ფსევდოპატრიოტულ ძალებთან ჭიდილს იმდენად დიდი ენერგია შეალია, ეს ენერგია სხვა პრობლემების დასაძლევად რომ გამოეყენებინა, ჩვენი ქვეყანა გაცილებით ძლიერი და წარმატებული იქნებოდა.

ფსევდოპატრიოტულ ძალებზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს კატეგორია იმ ადამიანებისა, რომლებსაც არც სათანადო კომპეტენცია აქვთ, არც პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილება, ვერც საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ლაბირინთებში ერკვევიან, მაგრამ აქვთ ამბიცია, რომ ყველაფერი იციან, ყველაფერში ზედმიწევნით კარგად ერკვევიან და, რაც მთავარია, ყველაზე მეტად უყვართ საქართველო.

აქიდან გამომდინარე, ეს ადამიანები, ცოტა არ იყოს, ზემოდან დაჰყურებენ დანარჩენ საზოგადოებას და მიაჩნიათ, რომ საზოგადოებამ მათი დირექტივებით, მათი მითითებებით უნდა იმოქმედოს, რადგან, მათი აზრით, ისინი ყველაზე დიდი პატრიოტები არიან და ყველაზე კარგად ესმით, რა არის გასაკეთებელი ამა თუ იმ სიტუაციაში.

საიდან მოდის მათი ეს თავდაჯერებულობა, ასეთი ამპარტავნული დამოკიდებულება საკუთარი ერისადმი? ამპარტავნება, რომელსაც არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია, გარდა უმეცრებისა და ნარცისული გადახრებისა?!

**ოცდაათი წელია პარლამენტის წინ დგანან და ხმაშეწყობილად გაჰყვირიან: გაუმარ-ჯოს! გაუმარ-ჯოს! მაგრამ ამით გამარჯვებული საქართველო ჯერ არ გვინახავს, წაფორხილებული და წაბორძიკებული კი ბევრჯერ.**

ამ სამი ათეული წლის განმავლობაში, ცხადია, თაობები იცვლებიან, ძველებს ახლები მოჰყვება, მაგრამ აბსოლუტურად უცვლელი რჩება მათი საერთო სინტაქსი, მათი პათეტიკა — ფუყე, არაფრისმომტანი, არაფრისმაქნისი.

ისინი თავის დროზე მოღალატეს და დიქტატორს ეძახდნენ ზვიად გამსახურდიასაც კი, ახლა მონას ეძახიან ყველას, ვინც მათ ჭკუაზე გავლას არ აპირებს.

რა არის ეს? ასეთი რა მოურჩენელი ჭირი და სახადია, რომ 30 წელიც არ აღმოჩნდა საკმარისი მისგან განსაკურნებლად?

ისინი საერთოდ არ ფიქრობენ იმაზე, რა საბედისწერო შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ გაუაზრებელ მოწოდებებს, რა საფრთხეები შეიძლება დაემუქროს ქვეყანას, რომელიც იმ გზით თუ წავა, საითკენაც ისინი უბიძგებენ, შეიძლება გამოსავალიც ვეღარ იპოვოს.

ღმერთო, შენ იხსენ საქართველო ასეთი ქართველების „სიყვარულისგან“.

●



არსებობს კიდევ ერთი განსაკუთრებული კატეგორია ქართველებისა, რომლებიც სიტყვით ასევე საქართველოსადმი განსაკუთრებულ სიყვარულზე ღაღადებენ, თუმცა საქმეები, რომლებსაც ისინი რეალობაში აკეთებენ, მკვეთრად ეწინააღმდეგება ქართული სახელმწიფოს ინტერესებს.

ამ შემთხვევაშიც, თითქოს სიყვარულია ის მოტივი, ის არგუმენტი, რომელიც მათ ქმედებებს ასაზრდოებს, მაგრამ ამ საბურველს თუ ჩამოვაცლით, მათი საქმეების მიღმა ქვეყნისადმი აშკარა მტრობა და მავნებლობა ჩანს.

ამ თემაზე ბევრი დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება, აქ კი ერთ მზაკვრულ და ვერაგულ ხერხზე მინდა მკითხველის ყურადღება გავამახვილო, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ბოლო წლებში ეფექტურად იყენებს.

ისინი წინა რიგებში უშვებენ იმ ადამიანებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, რომლებსაც, ფორმალურად არ აქვთ კავშირი „ნაცმოძრაობასთან“, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციასთან და, აქედან გამომდინარე, მათი პროტესტი, მათ მიერ გამოხატული რადიკალური მოთხოვნები, თითქოსდა ენმ-სთან პირდაპირ კავშირში არ არის, თუმცა, სინამდვილეში, ისინი სწორედ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ ინტერესებს ახმოვანებენ.

როცა ვინმე ამ ფარსს ამხელს და გაშიფრავს, ნაციონალები უკიდურესად შფოთდებიან და განრისხებულები პირიქით აბრუნებენ კითხვას: როგორ ბედავთ და როგორ შეგაქვთ ეჭვი გულმხურვალე პატრიოტი ახალგაზრდების გულწრფელ სიყვარულში სამშობლოს მიმართ? მათ არაფერი აინტერესებთ, არაფერი ამოძრავებთ საქართველოს სიყვარულის გარდაო.

აი, ასე შემოაქვთ თვალთმაქც ნაციონალებს სიყვარულის და პატრიოტიზმის თემა თავიანთი ბინძური და მოღალატებრივი პოლიტიკური ზრახვების სამსახურში.

შეიძლება არსებობდეს უფრო დიდი მორალური და ზნეობრივი დაცემა და გახრწნა, ვიდრე ის, რომ, სიყვარულს, ყველაზე ღვთაებრივ და ამაღლებულ გრძნობას, შენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული მტრული და ვერაგული ზრახვების განსახორციელებლად იყენებდე?

●

მეცხრამეტე საუკუნის მთელი ქართული მწერლობა ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა — ადამიანის აღზრდას პატრიოტად, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით განსჭვალულ ნამდვილ მოქალაქედ.

ეს სულისკვეთება, ეს მთავარი ხაზი მეოცე საუკუნეშიც გადმოჰყვა ქართულ მწერლობას, ხელოვნების ყველა დარგს, საგანმანათლებლო სისტემას.

მაგრამ მოხდა საოცრება — 90-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ ნანატრი დამოუკიდებლობა მოიპოვა, თითქოს ვიღაცის უჩინარმა ხელმა ერთბაშად, მოსხეპით გადაჭრა ქართული სულიერების მასაზრდოებელი ეს მთავარი ხაზი.

ლოგიკის მიხედვით, თითქოს პირიქით უნდა მომხდარიყო და დამოუკიდებლობის გზაზე ახლადფეხშედგმულ საქართველოს გაორმაგებული და გასამმაგებული ძალით უნდა ეზრუნა იმ თაობების აღზრდაზე, რომლებსაც დამოუკიდებლობა უნდა დაეცვათ და ქვეყანა წინ უნდა წაეყვანათ, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ერთი წლის თავზე დატრიალებულმა ტრაგედიამ, რაც ხელისუფლების იარაღით დამხობაში გამოიხატა, მთლიანად შეცვალა ქვეყნის განვითარების ვექტორი და ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სულისკვეთება სრულად ამოაგდო დღის წესრიგიდან.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, საქართველომ, მართალია, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი შეინარჩუნა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იმ დღიდან მოყოლებული, ვითომ ჩვენს დასახმარებლად და სამეგობროდ გარედან მოსული უჩინარი და უხილავი ძალები გამალებულნი ცდილობენ დაასუსტონ და შეარყიონ ის სამი ბურჯი, რაზეც დგას საქართველო: მამული, ენა და სარწმუნოება!

ყოველივე ამან, ცხადია, ძალიან დიდი უარყოფითი გავლენა იქონია ზოგადად, ერის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობების სულიერი ფასეულობებისა და ღირებულებების ფორმირებაზე.

სხვა მრავალ მიზეზთა შორის, ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რაც გვჭირს.

ჩვენს გადაკეთებას, გადასხვაფერებას ცდილობენ ვიღაც-ვიღაცები და, უნდა ითქვას, ნაწილობრივ, მოახერხეს კიდევაც ამის გაკეთება.

სამშობლოსადმი სწორი, ჯანსაღი, გონიერებაზე და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული სიყვარულის აღზრდას ადამიანში უდიდესი ენერგიის და ძალისხმევის დახარჯვა სჭირდება.

ვინ უნდა იტვირთოს ეს მისია, როცა არც სკოლა, არც მწერლობა, არც მასმედია, თითქმის არაფერს აკეთებენ ამ კუთხით და რასაც აკეთებენ იმის გაკეთებასაც ათასი ჯურის ვიგინდარა ყოველმხრივ უშლის ხელს და ბარიკადებით უხერგავს გზას?!

ასე შეგვრჩა ხელთ გაუნათლებელი და უბირი ადამიანების მასა, რომელსაც ერის წინამძღოლობაზე აქვს პრეტენზია.

ეს ის მასაა, რომლის „სულიერ აღზრდაზე“ თავის დროზე „ნაციონალებმა“ და მათმა უცხოელმა ინსტრუქტორებმა იზრუნეს და ყველაზე საშიში იარაღით შეაიარაღეს, იარაღით, რომელსაც ფსევდოპატრიოტიზმი ჰქვია.

ეს მასა, სინამდვილეში, ნაციონალებისა და სხვა ოპოზიციური პარტიების საზარბაზნე ხორცია, მათი ეგოისტური პოლიტიკური ზრახვების განსახორციელებლად მართული ძალაა, რომელსაც ჰგონია, რომ აშენებს, არადა, სინამდვილეში, ანგრევს.



# ანტიქრისტეს მოსვლის წინა დღე

*გვესაუბრება*
*იბერიულ-კავკასიური მოძრაობის დამფუძნებელი*
*ბესო მიქავა*

**— ბატონო ბესო, კონფლიქტი უკრაინასა და რუსეთის ფედერაციას შორის არ წყდება. რას ფიქრობთ, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ეს ომი?**

— გარემოებათა გათვალისწინებით, ეს ომი მოსალოდნელი იყო და ამას საძირკველი 90-იანი წლებიდან დაედო. შევარდნაძე-გორბაჩოვის მმართველობამ კი არ დაანგრია საბჭოთა კავშირი,



არამედ გაურიგდნენ გარკვეულ ძალებს დასავლეთში და რადგან ერთბაშად ვერ დაანგრიეს, ეტაპობრივად ახორციელებენ დასახულ გეგმას.

მოგეხსენებათ, რაც მოხდა საქართველოში 90-იან წლებში. იმ საშინელმა და სამარცხვინო პუტჩმა საბოლოოდ და რადიკალურად შეცვალა საქართველოს შემდგომი ბედი და არა მარტო საქართველოს. სხვათა შორის, მაშინ ზვიად გამსახურდიამ თქვა, როგორც ქუხს ისე არ წვიმსო, რაც შემდეგ თვითონვე განმარტა: არ მჯერა, რომ ეს შეთქმულება ჩემს წინააღმდეგ იმპერიის შიდა ძალებმა დაგეგმესო და, ასეც იყო სინამდვილეში. ჟორჯ ბუშმა, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა იმ ხანებში სწორედ უკრაინიდან გააჟღერა თავისი მოსაზრება, როცა განაცხადა: ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო.

მაშინ არავის განუმარტავს, რა შინაარსითა და დატვირთვით თქვა ეს ჯორჯ ბუშმა.

დროთა განმავლობაში ნათელი გახდა, რომ იმპერია, რომელსაც მხარს უჭერდა თვით ჯორჯ ბუში და დასავლეთი, რომელიც უნდა ყოფილიყო საერთაშორისო მასშტაბის ოლიგარქების მიერ შექმნილი რეანიმირებული სსრკ და ის რესურსები, რომელიც გააჩნდა რუსეთის იმპერიას, არ დარჩენოდა ხალხს და მთლიანად გადასულიყო შეთქმულების მონაწილეების ხელში.

ზვიად გამსახურდია სწორედ ამაზე მიუთითებდა, როცა ამბობდა, რომ ეს არ იყო პუტჩი, არამედ იყო შეთქმულება და მიმდინარეობდა იმპერიის გარდაქმნა, მაგრამ დავუბრუნდეთ საქართველოს.

პუტჩის შემდეგ, როცა შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, სიტუაციის დაწყნარების პროცესში თხოვნით მიმართავს უკრაინის მაშინდელ პრეზიდენტს ლეონიდ კრავჩუკს. კრავჩუკი უკრაინიდან სამხედრო გემს უგზავნის შევარდნაძეს ადმირალ ედუარდ ბალტინის მეთაურობით და იწყება საქართველოს დაბომბვა სუ-25-ებით, ყველანაირი ტექნიკითა და ძალით, რისი მომსწრე ვარ თავად მე. ჩემს თავზე, ჩვენი ოჯახების თავზე ცვიოდა ის ბომბები, რაც დღეს უკრაინაში ცვივა.

სიმართლე ეს არის, საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას შევარდნაძესთან ერთად, მაშინ ებრძოდნენ უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი ზოგიერთ იმდროინდელ სხვა პოსტსაბჭოთა ლიდერთან ერთად, ებრძოდნენ ხალხთა თავისუფლებას და მხარს უჭერდნენ რუსეთის იმპერიას.

მას შემდეგ გავა დრო და კონდოლიზა რაისი თავის მემუარებში დაწერს: პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქცეული და განადგურებული რუსეთი ფეხზე ჩვენ დავაყენეთო.

იმპერია, რომელიც უკრაინაში არ ინდობს საკუთარ ნათესავ ერს, გაათამამა ამერიკამ და ევროპამ.

როცა 2008 წელს რუსეთს შეუჩერდა ევროკავშირის წევრობის სტატუსი, გარკვეული დროის შემდეგ 70 მლნ-ის სანაცვლოდ ის ამ კავშირის წევრად აღადგინეს.

ყველას თვალწინ რუსეთმა და ამერიკამ სირია მიწასთან გაასწორეს, დაანგრიეს ავღანეთი, სერბეთი, თანდათან ერთობლივად ანგრევენ და ანადგურებენ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს. მაშინ რა განსხვავებაა პუტინის რუსეთსა და დასავლეთის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ამ კუთხით, ან სხვა რომელიმე მიმართულებით? იდეოლოგიურ განსხვავებს თქვენ ხედავთ? — მე ვერა.

იდეოლოგიურად დღეს სახეზეა ერთპოლუსიანი მსოფლიო.

ამავე დროს ხშირად გვესმის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ აპოკალიფსის დროში.

წინასწარმეტყველი მამები, წმინდანები და თვით სახარებისეული წინასწარმეტყველება აღიარებს, რომ ანტიქრისტე მოვა დანგრეულ და გაჩანაგებულ მსოფლიოში. თუ არ იქნა სიდუხჭირე, აპიდემიები, ავადმყოფობა, ისე ხალხი მას არ მიიღებს, როგორც მესიას. ამისთვის მზადდება ნიადაგი, ამისთვის ხდება მსოფლიოს გაჩანაგება...

**— ანუ თქვენი თქმით, აპოკალიფსი ძალაში შედის?**

— კონფლიქტი უკრაინაში უკრაინით არ დამთავრდება, ის მოედება არა მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოებს, არამედ, შეიძლება მსოფლიოსაც, რადგან, დიახ, მესამე მსოფლიო ომი უკვე დაწყებულია და იგი მე-20 საუკუნის 90-91 წლებიდან დაიწყო, როცა სერბეთი გაანადგურეს, საქართველო, ერაყი, სირია და ა.შ. ეტაპობრივად მიმდინარეობს სახელმწიფოების დაშლა-განადგურება.

**— მაგრამ, ბატონო ბესო, რაც ზედაპირზე ჩანს, ახლა რუსეთ--უკრაინას შორის უკრაინის დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებასა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების გამო მიმდინარეობს უთანხმოება.**

— როგორც ჩანს, თქვენ არ იცით, რომ ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთს განცხადება ჰქონდა შეტანილი ნატოში გაწევრიანების თაობაზე.

მაგრამ დავანებოთ ამასაც თავი, 2014 წელს უკრაინაში მოხდა ფერადოვანი რევოლუცია და ვინ შეუშალა ხელი მას შემდეგ უკრაინას აყვავებულიყო, ისევე როგორც საქართველოს 2003 წლის შემდეგ? 30 წელიწადია ინგრევა ქვეყანა და აღარაა საშველი.

ეს ვითომ ოპოზიცია ხტუნაობს აბსურდულ თემებზე, მაგრამ სოფო შევარდნაძე რომ ჩამოვიდა საქართველოში კაციშვილს ხმა არ ამოუღია.

**— სოფო შევარდნაძეს, რადგან ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილია, ჟურნალისტობის უფლება არ აქვს?**



— პუტინის უახლოესი ადამიანია, ქალბატონო ირანდა, სოფო შევარდნაძე, თვითონაც არ მალავს ამას. რუსებს დასდევენ, აქ არ ჩამოვიდნენო, ვიღაც გავრილოვზე ლამის რევოლუცია მოაწყვეს.

სოფო შევარდნაძე არ არის რუსეთის უბრალო მოქალაქე. ის პუტინის პოლიტიკის გამხმოვანებელი და გავლენიანი პირია რუსეთში.

დასავლეთის მიერ მოხდა პუტინის რუსეთის რეანიმაცია და ახლა დასავლეთი რუსეთთან ერთად ეროვნულ სახელმწიფოებს ებრძვის მსოფლიოში, ანუ პოლიტიკურად და იდეოლოგიურად სახეზეა ერთპოლუსიანი მსოფლიო. არავის გაუკვირდეს, ის პროცესები, რაც დღეს უკრაინაში მიმდინარეობს, ბელორუსშიც განხორციელდეს.

დღეს იგივე ძალები, რომლებიც გაიძახდნენ, საქართველოს ჯარი არ სჭირდებაი, ისინი დღეს გაჰყვირიან, წავიდეთ საომრად უკრაინაშიო. რითი და რა მომზადებით უნდა წავიდნენ ქართველი მეომრები უკრაინაში? ან უკრაინას რატომ უნდა უნდოდეს, საქართველომ სამხედრო ძალით დაუჭიროს მხარი?

**— უკრაინის მხარე უკმაყოფილოა საქართველოს პოზიციით ამ კონფლიქტში.**

— თუ ასეა, მაშინ უკრაინის ხელისუფლება აზერბაიჯანის უკმაყოფილოც უნდა იყოს, რადგან აზერბაიჯანი რუსეთის მოკავშირეა და მასაც არ გაუგზავნია ჯარი უკრაინის დასახმარებლად. უკრაინას აზერბაიჯანის ელჩი არ გაუწვევია, არც ბელორუსიის მიმართ აქვს რაიმე სახის პრეტენზიები და რატომ არის დაინტერესებული, გინდა უკრაინა და გინდა დანარჩენი მსოფლიო, ეს განადგურებული საქართველო ომში ჩაითრიოს?!

დღეს საქართველოში უამრავი რუსი ეროვნების ადამიანია შემოსული. რაც ნიშნავს, რომ, თუკი საქართველოში მოხდება იგივე მასშტაბის დაბომბვები, ქართული მოსახლეობა გაიქცევა და ის ქართული სტრატეგიული ობიექტები, რაც ყელზე ადგას ყველას, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, სხვა ერებს ჩაუვარდეთ ხელში. იმ ძალებს უნდათ საქართველოს ჩათრევა კონფლიქტში, რომლებიც რუსეთიდან ფინანსდებიან საქართველოში. იგივე ელენე ხოშტარია, გიგა მაქარაშვილი, დავით ქაცარავა, ეს ადამიანები მედვედევის ფონდიდან ფინანსდებიან. კგბ-ს ყოფილი აგენტები არ არსებობენ. მაგრამ მე დავსვამ ახლა რიტორიკულ კითხვას: რატომ შეიჭრა რუსეთი უკრაინაში?! უკრაინის მოსახლეობის 60% რუსი ეროვნებისაა. გამოდის, რომ პუტინი ომობს იმისთვის, რომ უკრაინის ტერიტორია გაათავისუფლოს რუსი ეროვნების ადამიანებისგან. ზელენსკიმაც გამოსცა ბრძანება: უკრაინაში მაცხოვრებელი ყველა რუსის ქონება პრივატიზებულია და ჩამოერთმევათ ეს ქონებაო. გამოდის, რომ პუტინი უკრაინაში ებრძვის რუსებს.

კვლავ ვიმეორებ: მესამე მსოფლიო ომი დაიწყო მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, ხოლო ზვიად გამსახურდია იყო „უკანასკნელი მოჰიკანი“, რომელიც შეეწინააღმდეგა ამ მსოფლიო ახალ წესრიგს, ამხილა მსოფლიოს „მამები“.

ესაა ანტიქრისტეს მოსვლის „წინა დღე“, რადგან დაწერილია, ანტიქრისტე მოვა დაშლილ, განადგურებულ მსოფლიოშიო და თუ ფხიზელი თვალით შევხედავთ, ნათელი გახდება ყველაფერი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18











# თუ წინდახედულებას გამოვიჩენთ და ამ რთულ გადათამაშებაში არ ჩავერთვებით, შეიძლება სიტუაცია ისე შემოტრიალდეს, რომ საქართველო რეგიონში ოაზისად იქცეს



*გვესაუბრება საერთაშორისო სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის დირექტორი ლევან მამალაძე*

**— ბატონო ლევან, რას იტყვით მიმდინარე საომარ კონფლიქტთან დაკავშირებით, რა ომია ეს უფრო ლოკალური ხასიათის თუ გლობალური?**

— ფაქტია, რომ დღეს უკრაინაში მიმდინარეობს დასავლეთისა და რუსეთის ომი. დასავლეთი პირდაპირ არ არის ცხელ კონფლიქტში ჩართული, მაგრამ მხარს უჭერს და მოწადინებულია, რომ მისთვის სასარგებლოდ დასრულდეს ეს წინააღმდეგობა.

ორ კვირაზე მეტი გავიდა ომის დაწყებიდან და ის პროგნოზი, რომ ომი ძალიან მალე დასრულდებოდა, არ გამართლდა, რამაც ძალზე საინტერესო პროცესებს დაუდო სათავე — დასავლეთმა სანქციები დაუწესა რუსეთს და არა მარტო რუსეთმა, მსოფლიომაც უკვე იგრძნო ეს. პროცესები იქითკენ მიდის, რომ ყველაფერმა, შეიძლება, გლობალური დატვირთვა მიიღოს. არ გამართლდა პროგნოზები, რომ რუსეთი უცებ გაიმარჯვებდა ამ ომში, ან ის დაიჩოქებდა სანქციების შიშით, რითაც საბოლოოდ დასრულდებოდა ეს პროცესები, მაგრამ მოხდა პირიქით.

უნდა ითქვას, რომ რუსეთის მხრიდან საკმაოდ მძიმე შეცდომები იქნა დაშვებული, რამაც დიდი გადალაგების პროცესს დაუდო სათავე.

ყველა სპეციალისტი, ვისაც ამ ომის შესახებ ვესაუბრე აშშ-ში, აღნიშნავენ, რომ რუსეთში სისტემის გადაწყობის პროცესები მიმდინარეობს და არავის აქვს დასავლეთში იმის მოლოდინები, რომ ეს პროცესები მალე დასრულდება.

სანქციები, რომლის მიხედვითაც რუსეთს აღარ აქვს ენერგორესურსების გაყიდვის უფლება დასავლეთის ქვეყნებში, არ გამოიღო ეფექტური შედეგები. გერმანიამ და ბრიტანეთმაც განაცხადეს, რომ წლის ბოლომდე მოუწევთ რუსული ენერგომატარებლების — ნავთობისა და გაზის შესყიდვა და ამაზე უარს ვერ იტყვიან. ევროპის ბევრმა ქვეყანამ საერთოდ უარი განაცხადა რაიმე სახის შეზღუდვებზე თანხმობის თაობაზე ნავთობისა და გაზის იმპორტთან დაკავშირებით, თუმცა ფასების ზრდა მაინც დაიწყო — ნავთობის ფასი გაიზარდა, მაგრამ გაზისა გაცილებით მეტად. არარეალურად გაიზარდა ფასები სამომხმარებლო საშუალებებზე.

მაგალითად აშშ-ში, სადაც უზარმაზარი რეზერვები არსებობს, ვერ მოხერხდა ფასების დარეგულირება. დიზელის და რეგულაარის ფასი ევროპაში, ფაქტობრივად, 3 დოლარამდე ავიდა.

რუსეთში, პირიქით, ფასები დაწიეს. 1 ლიტრი ბენზინი, საშუალოდ, 60 ცენტი ღირს.

ასე რომ, უნდა ველოდეთ, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში ფასების ზრდა გარდაუვალია. სოფლის მეურნეობაზე უდიდეს გავლენას მოახდენს არა მხოლოდ ენერგომატარებლების საკითხი, არამედ გაჩნდა სასუქების პრობლემაც.

ეკონომიკის ანალიტიკოსები ამზადებენ რეპორტებს ამ მიმართულებით, მაგრამ ბუნებრივი გაზის ფასი, რომელიც აზოტოვანი სასუქების ნედლეულს წარმოადგენს, 8-ჯერ გაიზარდა. ეს უდიდესი დარტყმაა სოფლის მეურნეობისთვის.



მაგალითად, საფრანგეთს, სასუქების 20% რუსეთიდან შემოჰქონდა. ახლა შემოტანაც შეწყდა, რაც უდიდეს პრობლემებს ქმნის სოფლის მეურნეობაში, ეს კი ნიშნავს, რომ, როგორც მთელი მსოფლიო, ასევე ჩვენი ქვეყანაც ახალი რეალობის მოლოდინშია.

ფაქტობრივად, სახეზეა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

**— მაგრამ რუსეთი უფრო მძიმე კრიზისში არ აღმოჩნდება სანქციების ფონზე?**

— რუსეთს დაუწესეს სანქციები, მაგრამ ის გახლავთ ხორბლის ექსპორტიორი, ფქვილის, სასუქების, ენერგომატარებლების და რუსეთში საკვები პროდუქტების კრიზისის პრობლემა გამორიცხულია. ამჟამად, მათ შეაჩერეს ხორბლის, ზეთის, შაქრის, ენერგომატარებლების გატანა და პარალელურად, უკრაინა გამოთიშა ამ პროცესებიდან. უკრაინის გამოთიშვამ უდიდესი დეფიციტი გამოიწვია მსოფლიოში. განსაკუთრებით, მზესუმზირის ზეთის და სხვა საკვები პროდუქტების დეფიციტი, რომ აღარაფერი ვთქვათ, მეტალურგიასა და საკვებ პროდუქტებზე, რაც უკრაინის გავლით გადიოდა მსოფლიოში.

რუსეთმა დიდი დარტყმა მიიღო იმით, რომ ქვეყნიდან გავიდა ბევრი უცხოური საწარმო — კოკა-კოლა, პეპსი-კოლა, მაკდონალდსი და სხვა, რომლებშიც ათიათასობით ადამიანი იყო დასაქმებული.

ამან შექმნა განწყობა, რომ რუსეთში სიტუაცია აირეოდა. გაეროს ბევრი სპეციალისტი, რომლებიც ამ კუთხით მუშაობდნენ, ამბობდნენ, რუსეთში სოციალური დაძაბულობა წარმოიშობაო. თუმცა, რუსეთი იმ საწარმოებში უკვე ასაქმებს ადგილობრივ ადმინისტრაციას და ეს საწარმოები, ფაქტობრივად, რუსული კომპანიების ხელში გადადის. მაგალითად, უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაკდონალდსის სისტემას ცნობილი ბიზნესმწარმოებელი ნოვიკოვი დაეპატრონება. როგორც ცნობილია, მას აქვს ფარშ-ბურგერის ფართო ქსელი მოსკოვში. ის და სხვა რუსი ბიზნესმენები აპირებენ ჩაანაცვლონ უცხოეთის წამომადგენლობები ამ ქსელებში. რუსეთში იშლება ადგილობრივი წარმოების ახალი ქსელები და მოლოდინი იმისა, რომ რუსეთი მოიხრჩობა, დაიშლება და დაძაბუნდება, ფუჭი აღმოჩნდა. ახლო მომავალში რუსეთის დაძაბუნება არ არის მოსალოდნელი, პირიქით, მსოფლიოში არის მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება.

**— ამბობენ იმასაც, რომ პუტინს იმედი ჰქონდა, უკრაინასთან ომს ისევე მალე დაამთავრებდა, როგორც 2008-ში საქართველოსთან წარმოებულ კონფლიქტს, მაგრამ არ გამოუვიდით.**



— მე არ ვიცი, რას ფიქრობდა პუტინი თავის გულში, მაგრამ პენტაგონის ექსპერტებს მართლაც მიაჩნდათ, რომ ეს ომი მალე დამთავრდებოდა. უკრაინამ მოახერხა მსხვილი ქალაქების გამაგრება, თუმცა არ აქვს კონტროლი საჰაერო სივრცეზე და ზღვაზე. სლოვაკეთის, მოლდოვას, პოლონეთის და რუმინეთის საზღვრები დაკეტილია, რუმინეთი საერთოდ არავის აღარ ატარებს, ლტოლვილების გარდა.

მთავარი შეცდომა, რაც რუსეთმა დაუშვა, იყო ის, რომ რუსმა სამხედროებმა ქალაქებში შესვლა დაიწყეს. ახლა ამ შეცდომის გამოსწორებას ცდილობენ.

სამხედრო ექსპერტების გათვლებით, რუსეთი გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირდა და ცდილობს სამხედრო გავლენა განახორციელოს დასავლეთ უკრაინაში. მსხვილი ქალაქები, კიევის ჩათვლით, ალყაშია. სავარაუდოდ, რუსეთი დაავიწროვებს ამ ალყას და გადაინაცვლებს დასავლეთის მიმართულებით.

ექსპერტების ეს ანალიზი დადასტურდა იმითაც, რომ ამ დღეებში რუსეთმა ივანოვო-ფრანკოვსკისა და ლუცკის აეროპორტები დაბომბა. ლუცკის აეროპორტი, მოგეხსენებათ, პოლონეთს ესაზღვრება, ასე რომ, სიტუაცია, სამხედრო თვალსაზრისით, საკმაოდ მძიმეა და რამდენად ეყოფა გამძლეობა უკრაინის ქალაქების დამცველებს, ამას დრო გვიჩვენებს.

ამერიკელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ, როგორც კი რუსეთი სამხედრო გავლენას განახორციელებს დასავლეთ უკრაინაზე, უკრაინას, ფაქტობრივად, გადაეკეტება დახმარების ხაზები, რის გამოც, სხვა სამხედრო ოპერაციების განხორციელება, შეიძლება, აღარც იყოს საჭირო.

**— მაგრამ რუმინეთში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთში ამერიკის ინიციატივით საჯარისო ნაწილები შეჰყავთ.**

— დიახ, და როგორც კი რუსეთი უკრაინის დასავლეთ საზღვრების გაკონტროლებას დაიწყებს, ის, სავარაუდოდ, ულტიმატუმს წაუყენებს ნატოს, რომ გაიყვანონ ბალტიისპირეთიდან და პოლონეთიდან იქ არსებული ნატოს სარაკეტო დანადგარები.

ეს უდიდესი დარტყმა იქნება ნატოს ალიანსისთვის, თუმცა რუსეთს ეს განზრახვა უკვე დაფიქსირებული აქვს. ლავროვმა განაცხადა კიდევაც: პროცესს არ ვაჩერებთ, ჩვენი მოთხოვნა ძალაში რჩებაო.

როგორც ვხედავთ, დიდი პრობლემის წინაშე დგება მთელი მსოფლიო.

მოსალოდნელია, ან რუსეთმა განახორციელოს დარტყმა მოსაზღვრე ქვეყნებზე, ან დასავლეთმა დათმოს და სარაკეტო ძალები გაიყვანოს რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებიდან.

არავისთვის არ არის ახალი ამბავი, რომ დასავლეთის მთავარი მიზანი იყო, ალყაში მოექცია რუსეთი, რათა მისი ბირთვული სისტემა გაენეიტრალებინა და ამ პროცესში, უკრაინას შეიყვანდნენ ნატოში თუ საქართველოს, მნიშვნელობა აღარ ექნებოდა, მთავარი იყო ძირითადი ამოცანის განხორციელება. სწორედ ამ ქვეყნების გაწევრიანების საკითხი რომ დადგა რეალურად, რუსეთი მაშინვე შეუდგა საომარ მოქმედებებს. ეს არის ამ კონფლიქტის მთავარი მიზეზი, ამიტომ კონფლიქტი, რომელიც უკრაინაში მიმდინარეობს, არის არა მხოლოდ კერძოდ უკრაინის, არამედ, გლობალური მასშტაბის საკითხი. სამწუხაროდ, უკრაინა ახლა ამ პროცესების პოლიგონია.

**— ბატონო ლევან, თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— სცენარი მრავალგვარი შეიძლება იყოს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ვთქვათ, სანქციებმა დაასუსტა რუსეთი, დაიწყო შიდა სოციალური დაძაბულობა, რასაც ვერ გაუძლებს რუსეთის ხელისუფლება, პუტინის გარემოცვაში შეიქმნება უთანხმოება, რაც დაშლის ხელისუფლებას და ვლადიმირ პუტინი, როგორც მილოშევიჩი, საბრალდებო სკამზე აღმოჩნდება. ამ სცენარით, რა საზღვრებში დარჩება რუსეთი — ძველი მოსკოვის სამეფო საზღვრებში დარჩება, დაიშლება თუ დაინგრევა, ამაზე მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება ლაპარაკი, რადგან ყველას გვახსოვს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაქუცმაცებული რუსეთის იმპერიის ტერიტორიები რა სისწრაფით შემოირბინა წითელმა არმი-

ამ, ფართომასშტაბიანი კონფლიქტის საშიშროების თავიდან აცილება კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დასავლეთი გაიყვანს შეიარაღებას რუსეთის მოსაზღვრე ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური პრობლემები მსოფლიოში მოიხსნება. მე ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში, საომარი კონფლიქტი უფრო მალე დასრულდებოდა, მაგრამ ეს ჩემი სურვილი და მოსაზრებაა მხოლოდ.

არის მესამე ვარიანტიც, თუ რუსეთმა მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს და დასავლეთმა უკან დაიხია, ჩინეთის როლი გამოიკვეთება, რომელიც რუსეთის შორეული აღმოსავლეთის შთანთქმას შეეცდება, თუმცა რუსეთი ამას ადვილად შეეგუება და თვით რუსეთის გაძლიერების შემთხვევაში, ჩინეთი, ინდოეთი და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები უფრო გააქტიურდებიან. ეს კი მრავალ ცენტრალურ პოლუსს წარმოქმნის მსოფლიოში.

სპეციალისტები ამ კონფლიქტის მეოთხე სცენარსაც განიხილავენ და ეს ჩემი აზრით, ეს მესამე სცენარი ერთ-ერთი მძიმე, მაგრამ არცთუ ზღაპრული ვარაუდია. ამ მოსაზრებით, ყველა სახელმწიფო სუსტდება, კონფლიქტებს ბოლო არ უჩანს და მხარეები იძულებულნი ხდებიან, მოლაპარაკებები დაიწყონ პროცესების ნორმალიზებისთვის.

**— იმედია, ამაზე მძიმე პროცესები არ განვითარდება და მსოფლიოს ლიდერებს ეყოფათ გონიერება.**

— დიდი იმედი მაქვს მეც, რომ ამაზე უარესი არ მოხდება, თუმცა, ვარაუდობენ უარესსაც — და ეს უარესი ბირთვული იარაღია.

ერთი სიტყვით, მსოფლიოში საინტერესო და მძიმე პროცესები მიმდინარეობს, ხდება გლობალური გადალაგება და საქართველოს, ამ პატარა ქვეყნის რომელიმე მიმართულებით ჩართვა, საკმაოდ სახიფათოა, ამიტომ განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ვიყოთ.



სიტუაციას ართულებს ისიც, რომ მიმდინარეობს საინფორმაციო ომი, რომელიც ადამიანების განწყობების მოპოვებაზე მუშაობს და ამაში უდიდესი თანხები იხარჯება. გაეროს მონაცემები არსებობს ამაზე და დაფარული არ არის, რომ დიდძალი თანხები იხარჯება ამ მიმართულებით, უფრო მეტიც კი, ვიდრე იარაღით მომარაგება. რადგან პიარტექნოლოგებმა მშვენივრად იციან, რომ ადამიანების განწყობების მოპოვება უფრო დიდი ძალა და კაპიტალია ომში, ვიდრე თვით შეიარაღება. დასავლეთი ამ ომს პირწმინდად იგებს რუსეთთან.

საქართველო ამ ვითარებაში უნდა იყოს თავისუფალი ყოველგვარი გავლენებისგან. მაგრამ ვხედავთ, რომ ასე არ არის: თუ დავინტერესდებით და გამოვიკვლევთ, ქართული საინფორმაციო საშუალებების უმრავლესობა ვისგან ფინანსდებიან, „ტელებიზნესმენები" რა ბიზნესს აწარმოებენ და ვისთან არიან „მიბმული", მივხვდებით, რომ საქართველოში თავისუ-



ფალი პრესის ადგილი არ რჩება, შედეგად ჩვენს საზოგადოებას თავისუფალი აზროვნებაც უჭირს. საქართველოში ამ ომთან დაკავშირებით 90% ე.წ. ფეიკ-ინფორმაციები ვრცელდება, ჩვენი საზოგადოების განწყობა სწორედ ამ მექანიზმებით იმართება.

საქართველო ის ქვეყანაა, რომელმაც შესანიშნავად იცის, რას ნიშნავს რუსეთთან მეზობლობა. რუსეთის აგრესიას შეეწირა სულ ახლახან, 2008 წელს, ტერიტორიები დაკარგა, წინა წლებს აღარ გავიხსენებ. საქართველოა ის ქვეყანა, რომელმაც გაეროში 144 ქვეყანასთან ერთად დაგმო რუსეთის აგრესიული ქმედებები. რითაც შეუძლია, ისე უჭერს მხარს უკრაინას — ჰუმანიტარული მისიებით, მორალურად, მოხალისეების წასვლით, პოლიტიკური პოზიციით. რუსეთისადმი სანქციების დაწესებას რომ საქართველომ მხარი არ დაუჭირა, ამის გამო ის აშშ-ს არ გაუკრიტიკებია და ესენი, ეს ვითომ ე.წ. ოპოზიციონერები, ჩასაფრებულ პოზიციაში არიან ამ უმძიმეს ვითარებაშიც კი. ეს კეთდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით: ხელისუფლება ჩაიგდონ ხელში. ამ ადამიანების მოღალატებრივი რიტორიკისა და პოზიციის შედეგად მოსალოდნელი სავალალო შედეგების შემთხვევაში, მოსახლეობას რა ბედი ელის, სულ არ ანაღვლებთ. ღმერთმა დაიფაროს და რამე რომ მოხდეს, ესენი როგორც 2008 წელს, ახლაც უკანმოუხედავად მოკურცხლავენ საქართველოდან.

**— თქვენ თავად როგორ მოგწონთ საქართველოს ხელისუფლების პოზიციები ამ კონფლიქტთან დაკავშირებით?**

— სასიხარულოა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გონივრული პოზიცია დაიკავა. იგი სრულად შეუერთდა იმ პოზიციებს, რასაც დასავლეთი ახორციელებს. საქართველო უკრაინას უდგას გვერდით, თვით უკრაინის პოზიციებს მხარს უჭერს საერთაშორისო დონეზე, მისასალმებელი იყო პრეზიდენტის დამოკიდებულება, უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ საქართველო არ შეუერთდება და მხარს არ დაუჭერს სანქციებს, რადგან საქართველოს არ აქვს ამის არც ფინანსური და არც ეკონომიკური ფუფუნება. მთავრობის გადაწყვეტილება აბსოლუტურად სწორი იყო. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მოლდოვამ, აზერბაიჯანმა და სხვა სახელმწიფოებმა და არავის არ აღიზიანებს ეს დასავლეთში. თუ გონიერებას გამოვიჩენთ და ამ რთულ გადათამაშებაში არ ჩავერთვებით, შეიძლება, სიტუაცია ისე შემობრუნდეს, რომ ჩვენი ქვეყანა რეგიონში ერთგვარ ოაზისად იქცეს ექსპორტ-იმპორტის, ვაჭრობის, საბანკო, საპორტო და ლოჯისტიკური მომსახურების თვალსაზრისით და ჩვენმა ეკონომიკამ მეტი სარგებელი მიიღოს. ეს ვითარება პოლიტიკური კუთხითაც ახალ შესაძლებლობებს გვაძლევს, თუკი ყველაფერს გონივრულად მივუდგებით და ისე გავაგრძელებთ, როგორი პოზიციაც ახლა გვიკავია.

პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ საუბარი სეპარატისტულ რეგიონებთან. იმის გარდა, რომ, შეიძლება, ეკონომიკური თვალსაზრისით, გაცილებით საინტერესო გავხდეთ, რუსეთი ამ ვითარებაში ჩვენსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის მოლაპარაკების წინააღმდეგი არ წავა და ეს პროცესებიც ჩვენს სასარგებლოდ შეიძლება შემოტრიალდეს. შექმნილი პოლიტიკური ვითარება იმის საწინდარია, რომ სეპარატისტულ რეგიონებს, შესაძლოა, სურვილი გაუჩნდეთ საქართველოსთან ასეთი საუბრები დაიწყონ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# განცხადება

1991 წელს ზვიად გამსახურდიამ მიიღო გადაწყვეტილება "კოლხური კოშკი" გამხდარიყო კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მემორიალური სახლი, მისი უდიდესი კულტურული და ეროვნული მნიშვნელობის გამო. გარდა მემორიალური სახლისა „კოლხური კოშკი" პანთეონსაც წარმოადგენს, რადგან მის ეზოში დაკრძალულნი არიან: ქართული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი და სხვადასხვა ჯილდოების მფლობელი; მისი მეუღლე მირანდა ფალავანდიშვილი-გამსახურდია, თამარ გამსახურდია, მთარგმნელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

„კოლხური კოშკის" მიმდებარედ შეირჩა მიწის ნაკვეთები გალის ქ. №19-21 ს/კ 01.15.02.054.131 და რჩეულიშვილის (სევასტოპოლის) ქ. №11 ს/კ 01.15.02.054.066 შენობანაგებობებისაგან თავისუფალი სივრცე. გალის ქ. №19-21-ში პირველადი ჩანაფიქრით უნდა აშენებულიყო, ჩვენი ოჯახის გადასასვლელად 3-4 სართულიანი სახლი, ხოლო რჩეულიშვილის ქ. №11-ში, ვინაიდან რელიეფის არახელსაყრელი გეოლოგიური მდგომარეობა (ქანები ძლიერ გამოფიტულია, ფერდის ამგები ქანების ვარდნის მიმართულება ემთხვევა ფერდის დახრის მიმართულებას და სხვ.) არ იძლეოდა რამდენიმე სართულზე განვითარებული შენობის მშენებლობის შესაძლებლობას, გადაწყდა წიგნსაცავის ერთ სართულიანი, ჰორიზონტალურად განვითარებული შენობის მშენებლობა. ორივე შენობა კოშკთან შემინული გადასასვლელებით იქნებოდა დაკავშირებული.

მიწის ნაკვეთები გალის ქ. №19-21 ს/კ 01.15.02.054.131 და რჩეულიშვილის (სევასტოპოლის) ქ. №11 ს/კ 01.15.02.054.066 ტერიტორია იყო დაუსახლებელი, მათზე საცხოვრებელი სახლი არ ყოფილა განთავსებული. აღნიშნული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები ტერიტორიის სანაცვლოდ დაკმაყოფილებულ იქნენ ყველა მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნით (რაც მოიცავდა ბინებს, მიწის ნაკვეთებს და ასევე ფულად ანაზღაურებას) და არა იმის მიხედვით, რასაც ისინი რეალურად ფლობდნენ. ანაზღაურება ბევრად აღემატებოდა დათმობილი ტერიტორიის საფასურს. ყოველივე ამის დამადასტურებელი დოკუმენტები და ჩანაწერები არსებობს და ჩემს მფლობელობაშია.

1992 წლიდან, როდესაც იძულებით დაგვატოვებინეს საქართველო, დაიწყო მუშაობა „კოლხური კოშკისა" და მისი მიმდებარე ტერიტორიების განადგურებაზე. „კოლხური კოშკი" გაძარცვეს და გადაწვეს, საზღვრები მოიშალა. ე. შევარდნაძე თავად იყო დაინტერესებული ჩვენი ოჯახის საცხოვრებლის გარეშე დატოვებაში, რათა მოესპოთ ჩვენთვის სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა. ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის შემდეგ მოგვიწია რამდენიმე ადგილას გადანაცვლება. 1998 წლის დასაწყისში დავბრუნდით საქართველოში, სადაც ელემენტარული თავშესაფარიც კი აღარ გვქონდა. სახლი დაგვხვდა განადგურებული, ეზო კარ-მიდამო მორღვეული, ტერიტორიები მიტაცებული.



2007 წელს ზვიად გამსახურდიას ჩამოსვენების შემდეგ, მისი გადასვენება სწორედ გადამწვარი კოლხური კოშკიდან მოხდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, დავიწყე არქივებში შენახული დოკუმენტური მასალის მოგროვება საცხოვრებელი სახლის ფართობის შესახებ, მისი მიწის, ტერიტორიის და მათ შორის, გამოსყიდული ფართებისა და ტერიტორიების შესახებ. სწორედ, ამ მოპოვებული დოკუმენტაციის საფუძველზე ქ. თბილისში, გალის ქ. №19-ში მდებარე „კოლხურ კოშკს" 2005 წლის 20 ივლისის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის №3/342 ბრძანებით მიენიჭა უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის სტატუსი;

ქ. თბილისში, გალის ქ. №19-ში მდებარე „კოლხურ კოშკს" 2009 წლის 19 მარტს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, №212 საქართველოს მთავრობის განკარგულებით; და ასევე, დადასტურდა 2015 წლის 4 მარტის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს №0/14/09/82 წერილით. „კოლხურ კოშკის", როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობას საფრთხეს უქმნის რჩეულიშვილის (სევასტოპოლის) ქ. №11 ს/კ 01.15.02.054.066 უკანონოდ მითვისებულ მიწის ნაკვეთზე გაჩაღებული 7 სართულიანი + 1 მიწისქვედა ავტოსადგომიანი შენობის მშენებლობა, რაც ვითარდება ძეგლის დაცვის მიზნით დაწესებული შეზღუდვის ზონების სრული დარღვევით/უგულვებელყოფით. ამას გარდა, მშენებლობა არ ითვალისწინებს მის ამჟამინდელ საკადასტრო საზღვარზე არსებული მიწის შემაკავებელი საყრდენი კედლის მდგომარეობას.

მშენებლობა მიმდინარეობს მის თავთან, რაც დამატებით დატვირთვას ქმნის, კედელი კი არაა გათვლილი მსგავს დატვირთვაზე თავდაპირველი მშენებლობის პროცესისას, რამაც შესაძლოა კედლის რღვევა გამოიწვიოს და გაანადგუროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი „კოლხური კოშკი". რაც დაუშვებელია!

აღნიშნული ახალი მრავალ სართულიანი სახლის მშენებლობის შესახებ არ ვყოფილვარ ინფორმირებული, არც ვინმე დამკავშირებია საყრდენი კედლის მდგომარეობის შესწავლის მიზნით. განცხადებაში აღნიშნულ დოკუმენტაციას ვფლობ სრულად, რასთან დაკავშირებითაც სადაო არავის აქვს.

**მანანა არჩვაძე-გამსახურდია**
საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
– „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" –
ჰელსინკის კავშირი, წმ. ილია მართლის საზოგადოება, სპიკერი.
თბილისი, გალის ქ. N19. ტელ.: 577 79 41 50

# შეთქმულების თეორია



ტერმინი „შეთქმულების თეორია“ სხვადასხვა აუდიტორიაში ხშირად გამოიყენება, როგორც ოპონენტის გაჩუმების, აზრის გაუფასურების უტყუარი მეთოდი. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია უამრავი შეთქმულება, დაწყებული სენატის შეთქმულებიდან კეისრის წინააღმდეგ ან ოფიცრების შეთქმულებისა ჰიტლერის წინააღმდეგ, და დასრულებული უამრავი საიდუმლო საზოგადოებებით, რომლებიც არაერთ ქვეყანაში დღემდე სრულიად ოფიციალურად არსებობენ. ზოგიერთ ადამიანს თავისუფლად შეუძლია გაიხსენოს შეთქმულება საკუთარი ცხოვრებიდანაც: „უთხარი მშობლებს, რომ მე ღამე შენთან გავათენე“. მოკლედ, არაფერია გასაკვირი, გიჟური და შეუძლებელი იმაში, რომ ადამიანები გარკვეული



მიზნების მისაღწევად ერთიანდებიან, მალავენ თავიანთ ნამდვილ მიზნებს და ამასთან დაკავშირებით სხვას ატყუებენ. არსებობს წიგნი „100 უდიდეს შეთქმულება და გადატრიალება“.

რამდენი შეთქმულება ჯერაც გამოაშკარავებული არ არის? თუკი ყურადღებით მიმოვიხედავთ - დავინახავთ, რომ ჩვენი ცხოვრება გამსჭვალულია შეთქმულებებით, ანუ ამა თუ იმ მიზნების მისაღწევად შეერთებული თანამოაზრეების ჯგუფების აშკარა თუ ფარული მოქმედებებით. თანამედროვე ადამიანებს საკუთარი გამოცდილებითაც შეეძლოთ შეემჩნიათ, თუ როგორ უეცრად ხდება დამტკიცებული რეალობა „შეთქმულებათა თეორია“. გავიხსენოთ თუნდაც სახელგანთქმული „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი“, ხოლო თუ უფრო ზუსტად ვიტყვით - საიდუმლო პროტოკოლი აღმოსავლეთ ევროპაში გავლენის სფეროთა გადანაწილების შესახებ, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ უკვე არანაირ საიდუმლოს არ წარმოადგენდა. ამისთვის საჭირო გახდა შეთანხმების ორივე მონაწილის კრახი. მართალია, ამ შეთანხმების ერთ-ერთი მონაწილე არსებობას აგრძელებდა - საიდუმლო, მაინც საიდუმლოდ რჩებოდა და ეს შესაძლებლობას იძლეოდა ელაპარაკათ „კონსპიროლოგებზე“, „შეთქმულებათა თეორიების“ მომხრეებზე და მეტიც, „სამშობლოს ცილისმწამებლებსა და მოღალატეებზე“.

ან კიდევ სხვა მაგალითი - ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში მსჯელობა „დაგეგმილ დაძველებაზე“ - უკიდურეს შემთხვევაში რუსეთში - აღიქმებოდა როგორც კონსპიროლოგია, როგორც შეთქმულების თეორია. ამის შესახებ უბრალოდ შეუძლებელი იყო ლაპარაკი ირონიის გარეშე, და სერიოზულად ამ საკითხის გარჩევა არავის სურდა. ამგვარი საუბრები ერთ კათხა ლუდთან ერთად ქალაქური ლეგენდების ჩარჩოებში წარმოებდა. ახლა კი ვიცით, რომ ეს აბსოლუტური სიმართლეა. ასე გაჩნდა სალაპარაკოდ გამხდარი კარტელი „ფებუსი“: 1920-იან წლებში მსოფლიოს წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებმა, რომლებიც აწარმოებდნენ გამანათებელ ნათურებს, ისეთებმა, როგორიც იყო გერმანული **Osram**, ბრიტანული **Associated Electrical Industries** და ამერიკული **General Electric** (რომელიც დიდ ბრიტანეთში მოქმედებდა კონტროლირებადი კომპანიის მიერ), შეთანხმდნენ ხელოვნურად, ათას საათამდე შეემცირებინათ თავიანთი ნათურების მუშაობის ვადა.

ამ თაღლითობის დეტალები ცნობილი გახდა მხოლოდ ათწლეულების შემდეგ, როდესაც სახელმწიფო ორგანოებმა და ჟურნალისტებმა დაიწყეს გამოძიების ჩატარება. აგერ კიდევ ბევრად უფრო საჭირბოროტო და ცხელი საკითხი, რომელიც „პანდემიას“ ეხება. საჭირო გახდა თითქმის ასი წელი, რათა ბოლოს და ბოლოს გამორკვეულიყო, რომ 1918 წელს, „ესპანური გრიპის“ დროს არსებული სიკვდილიანობის უდიდესი ნაწილი გამოწვეული იყო სალიცილატების დოზის გადაჭარბებით. თუ უბრალოდ ვიტყვით - ადამიანებს წამლავდნენ იმ დროს მოდაში შემოსული ასპირინით, ასმევდნენ დღეში ოცდაათ გრამს, სანამ თვალებიდან სისხლი არ დაიწყებდა დენას. არ მიგაჩნიათ, რომ დღევანდელ „ფილტვების დაზიანებას“ იწვევს ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის ძალიან „მოდური“ აპარატი? არა, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება სხვა რამეც იყოს. მაგრამ ამგვარი კითხვის დასმაც კი არ შეიძლება! „ეს ხომ კვლავ შეთქმულების თეორიაა“.

შესაძლოა მომავალში მივიღოთ პასუხი იმაზე, იყო თუ არა საერთოდ „ღორის გრიპის“ პანდემია. ამ გრიპისგან ოფიციალურად დაზარალებულთა ციფრი უბრალოდ არ არსებობს და ეს, შეგახსენებთ, ხდება ოცდამეერთე საუკუნის განვითარებულ ქვეყნებში.

რატომ არავის ეპარება ეჭვი მმართველი ელიტის სიგიჟეში, რომლებზეც ყველაზე მეტად მიაქვთ ეჭვი ამგვარ შეთქმულებებში? ბილ გეიტსი მუშაობს, ინახავს ოჯახს, განათლებულია, მაგრამ ამასთან გაერთიანებულია სხვა ადამიანებთან, ხარჯავს ფულს და დროს, შესაძლებელია დაექვემდებაროს საზოგადოებრივ გაკიცხვას, რადგან გამოდის ყველა ადამიანის ჩიპირების იდეით რათა მიიღოს ძალაუფლება მთელ მსოფლიოზე, როგორც ეს მას ესმის. რა თქმა უნდა, ასეთი რამ შეიძლება მოხდეს, თუკი ის გიჟია - სხვადასხვა ადამიანები ხომ შეიძლება გაგიჟდნენ... თუმცა, მოიცათ, ეს ხომ შეუძლებელია, ეს ხომ თვით ბილ გეიტსია. განა შეიძლება ის გაგიჟდეს - მაშასადამე ადამიანთა ჩიპირებასაც არ დაიწყებს, ეს შეუძლებელია მოხდეს.



შკალის ერთ მხარეს იმყოფება ადამიანთა სიმრავლე, რომლებიც დუმან, რადგან „ყველამ ისედაც ყველაფერი იცის“, მაგრამ სინამდვილეში არავინ არაფერი იცის, რადგან ყველანი დუმან. მაგალითად, ჩვენთვის ახლა გაუგებარია „არხიპელაგ გულაგის“ ესოდენ ხმაურიანი წარმატება, მაგრამ ის გვიყვებოდა იმის შესახებ, რაც თითქოსდა არავინ იცოდა, თუმცა, ამ პროცესში მონაწილეობას იღებდა მილიონობით ადამიანი.

აი კიდევ ერთი, უკვე ჩვენს დროსთან მიახლოვებული მაგალითი, სხვადასხვა ქვეყნებში ოპოზიციური პოლიტიკოსების, მეცნიერების და აქტივისტების აუხსნელი გარდაცვალებანი, რომლებსაც მკვლევართა ჯგუფები მოწამლულებად მიიჩნევენ. ამ მოწამვლების პროცესში მონაწილეობდა უამრავი ადამიანი. მოკლედ, რომ ვთქვათ, დაახლოებით ოცდაათი-ორმოცი წლის წინ ეს მოვლენები გაუხსნელად და იდუმალად დარჩებოდა, რომ არა თანამედროვე ტექნოლოგიები.

შეთქმულებათა უმეტესობა ძალიან ხშირად აისახება სრულიად ოფიციალურ დოკუმენტებში და მას არავინ მიიჩნევს შეთქმულებად, მაგალითად, მოსკოვი შენდებოდა სკკპ ცკ-ის გაუხმაურებელი გადაწყვეტილებით, რომ ტოლიატის ავტოქარხანა არ გაფართოვდება, ხოლო მოსკოველების ოთხმოცდაათი პროცენტი ვერასოდეს მიიღებს შანსს დააგროვოს თანხა კერძო ავტომობილზე. წააგავს ეს შეთქმულებას? არა!

შეთქმულების თეორიის მთავარი, ძირითადი კრიტიკა პირველ რიგში კრიტიკული აზროვნების უარყოფაზე მოდის. კრიტიკოსი საერთოდ არ განიხილავს შეთქმულების თეორიას, თუ რაიმეს უწოდებენ „შეთქმულების თეორიას“ ის დაუყოვნებლივ, ყოველგვარი განსჯის გარეშე უარყოფს არაბუნებრივი, გამოგონილი საფუძვლებით და ისიც მხოლოდ და მხოლოდ სახელწოდების გამო. ექსპერიმენტი რომელიც აჩვენებს ჯგუფებში კონფორმიზმის დემონსტრირებას ჩატარდა 1951 წელს. ექსპერიმენტის დროს, რომელსაც პოლონელი და ამერიკელი ფსიქოლოგი სოლომონ აში ატარებდა, სტუდენტებს სთხოვეს მონაწილეობა მიეღოთ „მხედველობის შემოწმებაში“. სინამდვილეში გამოკვლევის მიზანი გახლდათ ერთი სტუდენტის რეაქცია უმრავლესობის მცდარ ქცევაზე. როგორც წესი, ექსპერიმენტში ყველა მონაწილე, ერთის გარდა, საქმის კურსში იყო. საკონტროლო ჯგუფში ეს კატეგორია არ შედიოდა. მონაწილეები (გამოსაცდელი ერთი პიროვნება და დანარჩენი „აგენტები“) აუდიტორიაში მოათავსეს. მათ თანმიმდევრობით აჩვენებდნენ ორ კარტს: პირველზე გამოსახული იყო ერთი ვერტიკალური ხაზი, მეორეზე კი - სამი, ოღონდ ამ სამიდან ერთი იმავე სიგრძისა იყო, როგორიც პირველზე. სტუდენტების ამოცანა იყო საკმაოდ მარტივი - აუცილებელი იყო პასუხი გაეცათ კითხვაზე, თუ რომელი ხაზია მეორე კარტის სამი ხაზიდან პირველ კარტზე გამოსახული ერთი ხაზის ტოლფარდი. სტუდენტებს უნდა ენახათ კარტების თვრამეტი წყვილი და, შესაბამისად, პასუხი მიეცათ თვრამეტ კითხვაზე, გამოსაცდელი სტუნდენტი ჯგუფში პასუხს ყოველთვის ბოლოს იძლეოდა. პირველ ორ კითხვაზე ყველა ერთნაირად, სწორად პასუხობდა. მაგრამ მესამე ეტაპზე „აგენტებმა“ დაიწყეს ერთი და იგივე არასწორი პასუხების მიცემა, რამაც გამოსაცდელი სტუდენტი დააბნია. თუკი ის სწორ პასუხს გასცემდა, რომელიც არ ეთანხმებოდა უმრავლესობის აზრს, ის განიცდიდა მძაფრ დისკომფორტს. შედეგად გამოსაცდელ სტუდენტთა სამოცდათხუთმეტი პროცენტი დაექვემდებარა უმრავლესობის წინდაწინვე ცნობილ არასწორ წარმოდგენას... ადამიანთა უმრავლესობას როდესაც „უმტკიცებენ“ რომ ეს „შეთქმულების თეორიაა“ და ადამიანთა „მასშტაბური ორგანიზაციული საქმიანობა“ ეს მხოლოდ „ბრიყვული გამოგონებაა“ - იძულებულნი არიან დაეთანხმონ უმრავლესობას და საკუთარი თავში ჩაახშონ კრიტიკული აზროვნება. შედეგად ჩვენ ვიღებთ საზოგადოებას, რომლის ჩარჩოებში შეთქმულების თეორიები აკრძალულია, განიკითხება და არანორმალურად მიიჩნევა. წარმოიდგინეთ, რომ ვიღაც მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჯოხის მსუბუქი დარტყმა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისთვის. ეს ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს, აჩქარებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს შინაგანი ორგანოების აქტიურ მუშაობას, არსებობს მონაცემები, რომ ეს ასევე ხელს უწყობს გახდომას. აზიელები, მუდმივად ურახუნებენ მოწაფეებს, და ძალიან დიდხანს ცხოვრობენ. ასე რომ ამ დღიდან საზოგადოებრივ ტრანსპორტში ასვლისას სპეციალური ადამიანები, მორიგეები, მსუბუქად გაგროზგავენ. ბრძანება ხელმოწერილია პრეზიდენტის მიერ. და აჰა, თქვენც ელოდებით, როდის გამოჩნდება ამ გამოკვლევის უარმყოფელი, ის კი არა და არ ჩანს.

გავიხსენებთ ჰემინგუეისთან დაკავშირებულ კარგად ცნობილ ისტორიას: ემას ეჩვენებოდა (ან ეს სინამდვილეშიც ასე იყო), რომ ყველგან **FBI**-ის აგენტები უთვალთვალებდნენ, და რომ ყველგან მოსასმენი მოწყობილობებია, ტელეფონები ისმინება, ფოსტა კონტროლდება, საბანკო ანგარიშები მოწმდება და ასე შემდეგ. მას შემთხვევით გამვლელიც კი შეეძლო **FBI**-ის აგენტად ჩაეთვალა. 1980-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ე. ჰემინგუეის საარქივო საქმე გამოქვეყნდა, დადასტურდა, რომ **FBI** მწერალს მართლაც უთვალთვალებდა.

ადამიანი, არსებითად იზოლირებულია დანარჩენი სამყაროსგან და უბრალოდ იძულებულია ააგოს საკუთარი თეორია სამყაროზე. არსებობს მხოლოდ შეთქმულების თეორია - და მისი შესაბამისობა ან შეუსაბამობა ოფიციალურად მიღებულ შეხედულებასთან. რადგან დომინირებული დისკურსი ცდილობს სამყარო მოაქციოს თავის ჩარჩოებში. სამყარო დიდია, რთულია, ჩარჩოებში არ ეტევა. ამიტომ სამყაროს აჭრიან მონაკვეთებს და მათ ნორმის საზღვრებს მიღმა ისვრიან, „ეს არ არსებობს და არც არასოდეს არსებობდა“. შეთქმულებები წარმოადგენენ კაცობრიობის ცივილიზაციის სრულფასოვან ნაწილს და არასწორია მათი არსებობისა და საზოგადოებაზე მათი გავლენის უარყოფა. შეთქმულების თეორიები ყველაზე ხშირად ჩნდება იმ სფეროებში, სადაც მეცნიერება არ იძლევა ცალსახა პასუხებს, სადაც ადამიანები აკვირდებიან ოფიციალური სტრუქტურების ანგაჟირებულობას ან უძლურებას, მათ შორის მეცნიერებისაც.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# სამი ქალბატონი, რომლებმაც სამყაროს რვა მარტი აჩუქეს


კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი

1910 წლის 8 მარტს კოპენჰაგენში ნავსადგურთან ოციოდე ქალს მოეყარა თავი. მეძავები იყვნენ, ყველაფერზე ეტყობოდათ და არც ცდილობდნენ დამალვას:

— გუშინ ემა პოლიციელისგან ისევ ნაცემი დაბრუნდა. საწყალი...

ემა კი წუწუნებდა: ვერაფერი გამიგია, გუშინწინ ბურგომისტრმა მე ამომარჩია. ბოლოს მიმტკიცებდა, უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია, აწი, სულ შენთან ვიქნებიო. მე ვუთხარი, თუ ასე მოგწონვარ, კანონები შეცვალე, ძალიან გვავიწროებენ-მეთქი. მაგრამ მითხრა: ასეა საჭიროო...

ქალებს ხანშიშესული გერმანელი ქვრივი ფრაუ ბოდეკერი მიუახლოვდა. ბოდეკერს ნავსადგურთან საროსკიპო ჰქონდა და მეძავთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა:




— გამარჯობათ გოგოებო, ამ სიცხეში რას იკლავთ თავს. წამოდით, ცივ ლუდზე გპატიჟებთ! — უთხრა მან.

კმაყოფილი გოგოები სწრაფად გაექანენ უახლოესი ლუდხანისკენ. სასმელი მალე მოეკიდათ და ფრაუ ბოდეკერის წინადადებით შეთანხმდნენ, რომ ქალაქის ყველა მეძავი კოპენჰაგენის მერიასთან შეკრებილიყო. ორი საათის შემდეგ ქალაქის მთავარი მოედანი მეძავებით გაივსო. ქალებს შენობაში შეღწევა უნდოდათ, თუმცა პოლიციამ ისინი მერიის შენობაში არ შეუშვა. სხვა რა გზა იყო, შეზარხოშებულებმა სახელდახელოდ შედგენილი, რამდენიმე პუნქტად ჩამოყალიბებული მოთხოვნა ქალაქის თავს შეუგზავნეს. გადიოდა საათები, პასუხი კი არ ჩანდა და როცა მეძავებს მოთმინების ძაფი გაუწყდათ, ფრაუ ბოდეკერი გაჭირვებით აბობღდა ოთხთვალაზე და ბრბოს მიმართა:

— დებო, შვილებო, ქალებო, ხომ ხედავთ, ყველას ფეხებზე ვკიდივართ. კარგად ვიცი მამრთა ბუნება. მოდით, გავშიშვლდეთ, მაშინ კი ნაღდად მოგვაქცევენ ყურადღებას!

ფრაუმ პირველმა გაიძრო ჯერ კაბა, მერე პენუარი და ორივე საცვალი და რამდენიმე წამში უამრავი მეძავი უკვე შიშველი იდგა მერიის წინ.

ბოდეკერმა განაგრძო:

— ვიღაც სულელი, ათეისტი ბუნტისთავები კი არა ვართ, ჩვენ გვწამს ღმერთის. მოდით, დავიჩოქოთ და ჩვენი პროფესიული ლოცვა აღვუვლინოთ ზეცას, — თქვა მან და მეძავები ერთხმად აჰყვნენ:

— ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, წმინდაო მარიამ, შენ, რომელმაც ჩასახე ისე, რომ არ შეგიცოდავს, გვასწავლე ჩვენ, უღირს მონათა შენთა, როგორ შევცოდოთ ისე, რომ არ ჩავსახოთ. რადგან შენია ძალი, დიდება და სუფევა უკუნისამდე. ამინ!

დაჩოქილი, შიშველი, მთვრალი მეძავები ერთროულად იმეორებდნენ ამ სიტყვებს.

ქალაქის მერი თვალებდაჭყეტილი იყურებოდა ფანჯრიდან. ბოლოს გამოერკვა, მდივანს სასწრაფოდ უკარნახა ბრძანება, ხელი მოაწერა და პირველსავე ახლომყოფ ჩინოვნიკს ეცა:

— წადით და ხმამაღლა წაუკითხეთ: უთხარით, რომ ყველაფერზე თანახმა ვარ, გადასახადებსაც შევუმცირებ, აკრძალვებს მოვუხსნი, პოლიციელების თავნებობასაც ავლაგმავ, ოღონდ ახლავე ჩაიცვან და დაიშალონ; საშინელებაა, რას იტყვის ეპისკოპოსი, რას იტყვის მეფე?

მეძავებმა მხიარული სტვენით მოისმინეს მერის ბრძანება და გამარჯვების ყიჟინა დასცეს, დაშლით კი დაიშალნენ, მაგრამ ტანთ ჩაცმა არავის უფიქრია, შიშვლები მოედვნენ მთელ კოპენჰაგენს. მერი სულ გაგიჟდა, ბრძანა, დაეპატიმრებინათ ყველა შიშველი ქალი.

ის ღამე ასეულობით მეძავმა საპატიმროში გაატარა.

კოპენჰაგენში მყოფი როზა ლუქსემბურგი სასტიკად აღაშფოთა მეძავთა შევიწროებამ. შევარდა მერიაში და ქალაქის თავს ახალი, ამჯერად ჩაცმული დემონსტრაცია მოუწყო. დაპატიმრებულები მაშინვე გაათავისუფლეს. მალე კოპენჰაგენის სოციალისტ ქალთა კონფერენციაზე, კლარა ცეტკინის წინადადებით, 8 მარტი ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღედ გამოცხადდა.

კლარა ცეტკინი ებრაელი იყო, გვარად ეისნერი. ის დაიბადა გერმანიის სოფელ ვიდერაუში, 1857 წლის 5 ივლისს. მოსკოვში ყოფნისას კლარა ესისნერი დაუახლოვდა ოსიფ ცეტკინს, რომელთანაც კარგა ხანს იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში. წყვილს ორი ვაჟი ეყოლა. 1899 წლიდან კლარას სასიყვარულო ურთიერთობები ჰქონდა 18 წლით უმცროს ფრიდრიხ ზუნდელთან და არა მარტო ფრიდრიხთან, მაგრამ ეს ფრაუ კლარას პირადი საქმეა.

1933 წლის 20 ივნისს კლარა ცეტკინი მოსკოვში გარდაიცვალა...

კლარა ცეტკინის, როზა ლუქსემბურგის და მათ თანამოაზრე ქალთა საერთაშორისო სოლიდარობისათვის ზრუნვის მიზანი იყო ქალთა მასობრივი ჩაბმა სახელმწიფო გადატრიალებებისა და რევოლუციების ტალღაში. „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მესვეურები გეგმაზომიერად ახორციელებდნენ მონარქიების მოსპობას, განსაკუთრებით კი მართლმადიდებელი სახელმწიფოებისა, მათი ძირითადი სამიზნე მაშინ რუსეთის მართლმადიდებლური მონარქია იყო.

1913 წლის 23 თებერვალს პეტერბურგის ბოლშევიკებმა კალაშნიკოვის ბირჟის დარბაზში მოაწყვეს ქალთა მიტინგი დევიზით — მეცნიერული დილა ქალთა საკითხის გამო. 1914 წლის 23 თებერვალს პეტერბურგელ მუშა ქალებს კრებისა და მიტინგის ნებართვა მისცეს, მაგრამ პოლიციამ წინა დღეს ყველა ორგანიზატორი და მომხსენებელი დააპატიმრა. ამის მიუხედავად, კრება მაინც ჩატარდა. 1917 წლის 23 თებერვალს რევოლუციონერი ქალების დაჟინებით პეტერბურგში ქალთა დღისადმი მიძღვნილი მანიფესტაცია დაიწყო. იმპერიის უამრავი ქალი მონაწილეობდა გაფიცვებში. მძლავრი მანიფესტაცია მალე შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა და საბოლოოდ, ისტორიაში შევიდა, როგორც 1917 წლის თებერვლის რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუცია.


ვალენტინა ტერეშკოვა

ოქტომბრის რევოლუციით „ხელისუფლებაში“ მოსულმა ბოლშევიკებმა მეფის ოჯახი გაანადგურეს და რევოლუციონერი ალექსანდრა კოლონტაის გავლენითY საბჭოთა რუსეთში ქალთა დღე ოფიციალური დღესასწაული გახდა. 23 თებერვლის კვირა დღეს დაწყებული მანიფესტაციით რუსეთის მართლმადიდებლური მონარქია დაემხო, რამაც ბიძგი მისცა ქალთა საერთაშორისო დღის მსოფლიო მასშტაბით დამკვიდრებას.

დასავლეთში ქალთა საერთაშორისო დღეს 1920-იანი წლების ბოლომდე მასშტაბურად აღნიშნავდნენ, თუმცა, შემდეგ, კომუნისტებთან ასოციაციის გამო, მისმა პოპულარობამ იკლო.

1960-იან წლებში ფემინიზმის აღმავლობამ ხელი შეუწყო ქალთა დღის მზარდ პოპულარიზაციას.

მსოფლიო შეძრა რუსი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას კოსმოსში გაფრენის ამბავმა.

დედამიწაზე დაბრუნებული ტერეშკოვა მალე კრემლში მიიწვიეს. ვალენტინა თავმდაბალი ქალი იყო და ასეთი დიდი პატივისცემით დაბნეულს, მრელვარებისგან ენა წაერთვა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა უშიშარი ქალი გულში ჩაიკრა და უთხრა:

— სამშობლოს ღირსეულო ასულო, შენ ასახელე შენი ქვეყანა. მითხარი, რა გსურს და ნებისმიერი შენი ერთი სურვილი შესრულებული იქნება.

ვალენტინამ კრძალვით დახარა თავი:

— გენერალურო მდივანო, მზრუნველო მამავ, ჩემთვის არ ვითხოვ — რა იქნება, რომ ქალთა საერთაშორისო დღე დასვენების დღედ გამოცხადდეს?

ბრეჟნევს გაეღიმა და დასძინა:

— უბრალო თხოვნაა — დაე, ასე იყოს!

1965 წლის 8 მაისს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, 8 მარტი უქმე დღედ გამოცხადდა.

მალე გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ოფიციალური სანქცია გასცა ქალთა დღის სპონსორობისათვის.

საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით შექმნილმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო ქართული მართლმადიდებელი სახელმწიფოს აშენება.

22 ნოემბრიდან უზენაესი საბჭოს დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაუქმდა მანამდე არსებული ყველა დღესასწაული, გარდა სამოქალაქო ახალი წლისა, აღდგა ეროვნული, საეკლესიო დღესასწაულები და მათთან დაკავშირებული უქმე დღეები.

2003 წლის თებერვალში პარლამენტმა 8 მარტის დღესასწაულის გაუქმება მოითხოვა — ხანმოკლე დებატები შეწყდა პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის კატეგორიული სიტყვებით: „ეს დღესასწაული გაეროს მიერაა აღიარებული და, გარდა ამისა, ის ქალთა უფლებების დაცვას უკავშირდება; ასეც რომ არ იყოს, ქვეყანაში არსებობს გაცილებით სერიოზული პრობლემები, ვიდრე 8 მარტის ბედ-იღბლის გადაწყვეტაა“.

2005 წელს ბრიტანეთის პროფკავშირთა გაერთიანების კონგრესზე ერთხმად დაუჭირეს მხარი რეზოლუციას ქალთა საერთაშორისო დღის სახალხო დღესასწაულად გამოცხადების შესახებ.

ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რასაც მხარს უჭერს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მთავრობა და ორგანიზაცია.

მოამზადა
**ანა ვადაჭკორია**

# ვოლოდიმირ ზელენსკი: უკრაინის კაპიტულაცია ნატოს და დასავლეთის ქვეყნების ბრალი იქნება

არსებულ მძიმე, მწვავე ვითარების პირობებში გაუგებარია უკრაინის ჯერ კიდევ მოქმედი ხელისუფლების პოზიცია, უცნობია მათი სამოქმედო გეგმები. უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმერ ზელენსკის ნატოსადმი დამოკიდებულება ჯერ კიდევ მაშინ გაცივდა, როდესაც ალიანსში გაწევრიანებაზე უარი უთხრეს. ასევე არ გაითვალისწინეს ნატოში ზელენსკის მოთხოვნა და უკრაინის ცა არ ჩაკეტეს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებისთვის. ამიტომაც განაცხადა გასულ კვირას: „...უკრაინის კაპიტულაცია ნატოს და დასავლეთის ქვეყნების ბრალი იქნება“. ტრადიციულად, ზელენსკი პოზიციას დღეში რამდენჯერმე იცვლის, რაც უკვე აღარავის უკვირს. გასულ კვირას მან ამაყად განაცხადა: „...რუსი ოკუპანტები ვერ დაგვამარცხებენ, მათ საამისოდ არაფერი აქვთ, მორალური ძალა არ შესწევთ“.











რუსეთ-უკრაინას შორის მოლაპარაკებები გრძელდება. ყოველ შემთხვევაში, უკრაინელები დაჟინებით ითხოვენ შეხვედრებს, მაგრამ შეთანხმების (თუ ასეთი რამ მოხდა) პირობების შესრულებაზე უარს ამბობენ. ასე მოხდა გასულ კვირას თურქეთის კურორტ ანტალიაში. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუდ ჩაუშოღლუმ დაითანხმა რუსი კოლეგა სერგეი ლავროვი, შეხვედროდა უკრაინელ პირველ დიპლომატს დიმიტრო კულებას. შუამავლის როლიც მასპინძელმა ითავა. საათნახევრიანი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. ლავროვის განცხადებით: „...ჩვენ უკრაინელ ხალხს არ ვებრძვით. გვინდა მხოლოდ ქვეყნის დემილიტარიზაცია-დენაციფიკაცია“. კულებასთვის რუსი კოლეგის ყველა პირობა კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. უფრო შორსაც წავიდა და რუსეთისგან უპირობო კაპიტულაცია მოითხოვა, თითქოს უკრაინის ჯარებს ჰყავთ ალყაში მოსკოვი. ექსპერტების შეფასებით, რუსეთის მოთხოვნები უკრაინის ხელისუფლებისადმი გაიზარდა. ამასთან, გამკაცრდა და იმაზე უარეს პირობებს უყენებენ, ვიდრე სპეცოპერაციის დაწყებამდე. ასეთ ფონზე კვლავ დაჟინებით ითხოვს ზელენსკი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან პირისპირ შეხვედრას. განსახილველ თემებს ვერც თავად და ვერც მის ადმინისტრაციაში ვერ ასახელებენ. სად იმყოფება ზელენსკი ახლა, კიევშიც არ იციან. ზელენსკი ყოველდღე აქვეყნებს ვიდეომიმართვებს, მაგრამ სად არის გაკეთებული ჩანაწერები, უცნობია.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატად კი დაარეგისტრირეს უკრაინა (მასთან ერთად საქართველო და მოლდოვაც), მაგრამ გახდება თუ არა ქვეყანა მისი სრულფასოვანი წევრი, ჯერ კიდევ ბურუსით მოცული რჩება. გასულ კვირას საფრანგეთში, ვერსალის სასახლეში ევროკავშირის ქვეყნების მეთაურების შეხვედრა გაიმართა. შეკრება დაგეგმილზე ხანგრძლივი და უკრაინისთვის უშედეგო აღმოჩნდა. საფრანგეთის, ნიდერლანდების, გერმანიის, ხორვატიის და მათ შორის ევროკავშირის სხვა ქვეყნების წარმომადგენლების განცხადებით, არ განიხილავენ უკრაინის ევროკავშირში დაჩქარებული წესით გაწევრიანების საკითხს. განსაკუთრებით მკვეთრი განცხადება ლიეტუელებმა გააკეთეს. მათი შეფასებით „...საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის ევროკავშირში დაჩქარებული წესით გაწევრიანება დაუშვებელია. არსებობს კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს ევროკავშირში გაწევრიანება. ამის მიღწევას დრო სჭირდება“. ევროჩინოვნიკები ღიად აფიქსირებენ, რომ უკრაინა ევროკავშირში შესვლით ვერ შეძლებს არსებული პრობლემების მოგვარებას. თავად ჟოზეპ ბარელმა განაცხადა: „...შეცდომა დავუშვით, როდესაც არ გავითვალისწინეთ რუსეთის ინტერესები... ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანების პირობა უკრაინისთვის არ უნდა მიგვეცა“.

სენსაციური განცხადება გააკეთა გასულ კვირას სენატში გამოსვლისას აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ვიქტორია ნულანდმა. მისი თქმით, უკრაინაში არსებობდა საიდუმლო სამედიცინო-ბიოლოგიური ლაბორატორიები, სადაც სამეცნიერო ექსპერიმენტებს ატარებდნენ. კონკრეტულად რამდენი ლაბორატორია იყო და რაზე მუშაობდნენ, ნულანდს არ დაუკონკრეტებია. ნულანდის განცხადებით, დაუშვებელია ლაბორატორიების მასალები რუსეთის ჩაუვარდეს ხელში. თუმცა რუსეთის სამხედროებმა უკვე მიიღეს სამეცნიერო ნაშრომების ნაწილი, მაგრამ კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაცია ჯერ არ გაუვრცელებიათ. ინფორმაციამ განსაკუთრებით ჩინელები შეაშფოთა, რომლებიც აშშ-სგან ოფიციალურ, დეტალურ განმარტებას ითხოვენ, რაზე მუშაობდნენ ლაბორატორიებში. ექსპერტების შეფასებით, ვიქტორია ნულანდმა მისდაუნებურად „პანდორას ყუთი“ გახსნა, რასაც გაგრძელებები მოჰყვება.

რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა გასულ კვირას, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უძღვებოდა. თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ განაცხადა, რომ სირიაში, ერაყში და სხვა ქვეყნებში არიან მებრძოლები, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, ჩავიდნენ უკრაინაში მოხალისეებად რუსეთის დასახმარებლად. შოიგუს განმარტებით, მათ აქვთ ე. წ. „იგილთან“ ბრძოლების გამოცდილება. შეთავაზებულ წინადადებას პუტინი დათანხმდა.

ბელორუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს მოსკოვში ჩასვლა არავის უკვირს. ამჯერად ლუკაშენკომ რუსეთში მისი ქვეყნის დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაცია ჩაიტანა, სადაც აღწერილია, თუ რა სამხედრო ოპერაციები იგეგმებოდა ბელორუსისა და რუსეთის წინააღმდეგ.



რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა აშშ-ის ეკონომიკაზეც იქონია მნიშვნელოვანი გავლენა. ქვეყანაში საგრძნობლად გაძვირდა საწვავი და პროდუქტები. ბაიდენი გამოსავლის ძიებაშია. გასულ კვირას მისი მცდელობა, ტელეფონით დაკავშირებოდა საუდის არაბეთისა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროების ხელისუფლებებს, უშედეგოდ დასრულდა. სულ ცოტა ხნის წინათ ვენესუელა აშშ-ისთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა. თუმცა ამერიკელები იძულებულები გახდნენ, ორი დელეგაცია გაეგზავნათ პრეზიდენტ ნიკოლას მადუროსთან მოსალაპარაკებლად. თუმცა ორივეჯერ ხელცარიელი დაბრუნდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, აშშ ირანთან აწარმოებს მოლაპარაკებებს ნავთობის მოპოვების გაზრდაზე. ბაიდენის გადაწყვეტილებით, რუსეთის ენერგომატარებლებზე ემბარგო 45 დღით გადაიდო. ამასობაში ბაიდენი აპირებს, გახსნას სტრატეგიული მარაგი და 60 მლნ ბარელი გამოიტანოს სსარეალიზაციოდ.

შემოდგომაზე აშშ-ის სენატისა და კონგრესის არჩევნებია. პოლიტოლოგების შეფასებით, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, ორივე პალატაში აბსოლუტური უმრავლესობით რესპუბლიკელები მოვიდნენ, ამიტომაც განაცხადა ბაიდენმა: „...შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკელების გამარჯვების შემთხვევაში მხოლოდ კალამი დამრჩება ვეტოს დასადებად“. დღევანდელ ადმინისტრაციას მკაცრად აკრიტიკებს დონალდ ტრამპი: „...უკრაინის მოვლენებმა, ადვილი შესაძლებელია, სამყარო ახალ მსოფლიო ომამდე მიიყვანოს. პუტინი გაჩერებას არ აპირებს და წინ მიიწევს. აშშ-ის დღევანდელ ადმინისტრაციაში არავინ არის, ვინც რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას შეძლებს“. თეთრი სახლის ადმინისტრაციის განცხადებით, აშშ არ ჩაერევა რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტში, თუნდაც რუსებმა ბირთვული იარაღიც გამოიყენოს. ევროკავშირის ქვეყნები უარს არ იტყვიან რუსეთის ენერგომატარებლებზე, რაც ვერსალის შეხვედრისას გახდა ცნობილი.

უკრაინაში კი გრძელდება სამხედრო შეიარაღებული კონფლიქტი. იქაურ დევნილებს ევროპელები ენთუზიაზმით არ ხვდებიან. დიდ ბრიტანეთს 5 ათასმა უკრაინელმა მიმართა დევნილის სტატუსისთვის. დააკმაყოფილეს... 50(!) შეიარაღებულმა დაპირისპირებამ ლვოვის ოლქს მიაღწია, სადაც რუსეთის არმიამ ერთბაშად 180 დაქირავებული მებრძოლი ბრძოლაში ჩაბმამდე გაანადგურა. ვნახოთ, როდის და რით დასრულდება რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული კონფლიქტი, რომელსაც ექსპერტთა ერთი ნაწილი სამოქალაქო ომსაც კი უწოდებს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

მკითხველის ფოსტა

# სხვა გამოსავალი არ არის, ეს ომი დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს!

პატივცემულო რედაქციავ, უმორჩილესად გთხოვთ, გამომიქვეყნოთ ეს წერილი.

დედით უკრაინელი ვარ, მამით რუსი, დაბადებით კი საქართველოში დავიბადე, ქართველებთან გავიზარდე, ქართულად მივიღე განათლება. ასე რომ, უკრაინელიც ვარ, რუსიც და ქართველიც.

ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ რუსები და უკრაინელები ერთი საერთო ფესვიდან, ერთი საერთო ნიადაგიდან აღმოცენებული ერები არიან, სისხლისმიერი ძმები არიან, რომლებსაც იმდენი რამ აქვთ საერთო, რომ ეს ომი სამოქალაქო ომს უფრო ჰგავს, ვიდრე ორ სხვადასხვა ერს შორის დაპირისპირებას.

ამ ომის გამომწვევი მაპროვოცირებელი ბევრი მიზეზი არსებობს, თუმცა არის ერთი მთავარზე მთავარი მიზეზი, რის შესახებაც არავინ საუბრობს.

ეს არის ის მემკვიდრეობა, ის



ნელი მოქმედების ნაღმები, რაც საბჭოთა კავშირმა დატოვა.

საქმე ის არის, რომ კომუნისტებმა თავის ჭკუაზე დაჰყვეს და დაჭრეს ტერიტორიები, ზოგ რესპუბლიკას ჩამოაჭრეს და მეორეს მიაკუთვნეს, იმ მეორესაც რაღაც წაართვეს და მესამეს მიუერთეს.

ამის გამოა, რომ ამ პოსტსაბჭოური თხუთმეტი რესპუბლიკიდან ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები და უსამართლობის შეგრძნება ყველას აქვს, მათ შორის რუსეთსაც, მაგრამ რა სერიოზული მიზეზებიც არ უნდა არსებობდეს, რუსეთის შეჭრა უკრაინაში რუსეთის მხრიდან დაშვებულ ძალიან მძიმე შეცდომად მიმაჩნია.

— ამ ომში რუსეთი გაიმარჯვებს! — ამტკიცებენ ერთნი.

— ამ ომში უკრაინა გაიმარჯვებს! — ამტკიცებენ მეორენი.

ვინც ამას ამბობს, ყველა ცდება, რადგან ამ ომში გამარჯვებული არ არსებობს, რადგან ომში, სადაც ძმები ხოცავენ ერთმანეთს, ორივე მხარე დამარცხებულია.

სხვა გამოსავალი არ არსებობს — ეს ომი დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს!

მთელი მსოფლიო უნდა გაერთიანდეს და ეს შემზარავი ომი უნდა დასრულდეს!

მხოლოდ პოლიტიკოსების იმედი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ პოლიტიკოსების გარდა ამ XXI საუკუნის ცივილიზებულ სამყაროში ხომ არიან ადამიანები, რომლებსაც მთელი კაცობრიობა პატივს სცემს, უყვართ, მათ სიტყვას წონა და ფასი აქვს.

სწორედ ისინი, კაცობრიობის ელიტა, კაცობრიობის ყველაზე გონიერი და პატივსაცემი საზოგადოება უნდა გაერთიანდეს ამ ომის შესაჩერებლად, რომელიც შეიძლება მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს.

ყველა მხარემ რაღაც უნდა დათმოს, ყველა მხარე რაღაც კომპრომისზე უნდა წავიდეს, რომ ეს საშინელება, ეს ბარბაროსობა, ეს გაუგონარი ნგრევა და პარტახი შეწყდეს!

**დიდი მოწიწებით და მოკრძალებით მივმართავ საქართველოს პატრიარქს, მართლმადიდებლურ სამყაროში ყველაზე ავტორიტეტულ ადამიანს, ილია II-ს —** თქვენო უწმინდესობავ, აიღეთ თქვენ და ქართულმა ეკლესიამ თქვენს თავზე უდიდესი მისია: მიმართეთ მთელ საქრისტიანოს, მთელ მართლმადიდებლურ სამყაროს მტკიცედ და კატეგორიულად მოითხოვონ, შეწყდეს ეს აპოკალიფსური ნიშნების მატარებელი ომი და მხარეები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ.

საქართველომ, თვითონაც დაზარალებულმა და ოკუპირებულმა, დაე, კიდევ ერთხელ აჩვენოს ყველას ქრისტიანული დიდსულოვნების, მიმტევებლობის და ადამიანთმოყვარეობის მაგალითი.

მაპატიეთ, მე, ასაკოვან ადამიანს (75 წლის ვარ), რომ ჩემი გულუბრყვილო მოსაზრებებით შეგაწუხეთ, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო — მინდოდა, ჩემი გულისტკივილი სხვებისთვისაც გამენდო და გამეზიარებინა.

**ვასილი გოვორუხინი,**
თბილისი

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69



* * *

— **რა შემთხვევაში შეიძლება შეჩერდეს სოციალური დახმარება?**

— სოციალური დახმარების გაცემა შეიძლება შეჩერდეს იმ შემთხვევაში, თუ:

• ოჯახი მუდმივად არ ცხოვრობს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე;

• ოჯახი ხელოვნურად არის გაყოფილი;

• ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული;

• შეიცვალა ოჯახის შემადგენლობა;

• ოჯახს დაემატა სრულწლოვანი წევრი;

• ოჯახში ბავშვის დაბადებიდან (შვილად აყვანიდან) და ბოლო შეფასებიდან გასულია 2 წელზე მეტი;

• ოჯახი უარს აცხადებს საარსებო შემწეობის დანიშვნაზე;

• ოჯახი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჭიროებს დამატებით შესწავლა-შემოწმებას.

• საარსებო შემწეობის მიღება, შეჩერება ან შეცვლა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

• ოჯახის წევრთა რაოდენობის ცვლილება (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება და სხვ.);

• ოჯახის წევრისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება ან დაკარგვა;

• დასაქმება, ლეგალური შემოსავალი;

• ასევე, კანონით დადგენილი სხვა შემთხვევები.

• დევნილები, რომლებიც იღებენ დევნილის ყოველთვიურ შემწეობას, იმავდროულად ვერ მიიღებენ საარსებო შემწეობასაც, მათ უნდა აირჩიონ ერთ-ერთი შემწეობის მიღება

• საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახს შეუძლია:

• მიიღოს საარსებო შემწეობა;

• მოითხოვოს საარსებო შემწეობის ადგილზე მიტანა, თუ ოჯახის ყველა წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი;

• საარსებო შემწეობასთან ერთად მიიღოს სოციალური პაკეტი, სახელმწიფო პენსია/კომპენსაცია, სხვა ინდივიდუალური სოციალური დახმარება ან/და სხვა სახელმწიფო გასაცემელი, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

• გაეცნოს მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას;

• მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა;

• მოითხოვოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

• ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ვალდებულია:

• აცნობოს მომსახურების სააგენტოს ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების (წევრის გარდაცვალება, დაბადება, ქორწინება, საზღვარგარეთ 3 თვეზე მეტი ვადით წასვლა და სხვ.) და/ან ოჯახის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;

• აცნობოს აღნიშნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს არაუგვიანეს 1 თვისა.

ოჯახს, რომელიც მინიჭებულ ქულას არ ეთანხმება, შეუძლია განმეორებით მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მოითხოვოს ოჯახის ხელახალი გადამოწმება. ოჯახმა ხელახალი გადამოწმება შემწეობის მისაღებად შეიძლება მოითხოვოს ბოლო შემოწმებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

ხელახალი გადამოწმების დროს გამოიყენება პირველადი შემოწმების წესები, პროცედურები და ვადები.

ოჯახის ხელახლა გადამოწმებაზე უარის ან ხელახლა გადამოწმების დროს მინიჭებულ ქულაზე კვლავ არ დათანხმების შემთხვევაში, ოჯახს შეუძლია ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სოციალური მომსახურების სააგენტოში (ცენტრალურ ოფისში). ადმინისტრაციული ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში.

* * *

— **მინდა, ჩემი სახლისა და ნაკვეთის ნახევარი ახლობელს ვაჩუქო, ოღონდ, არსებობს ერთი პრობლემა: ჩემი ახლობელი სოციალურად დაუცველი პირია. მაქვს ასეთი შეკითხვა: ჩუქების შემთხვევაში მოეხსნება თუ არა სოციალური დახმარება, ან მირჩიეთ, როგორ ვაჩუქო ისე, რომ მას პრობლემები არ შეექმნეს სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებით?**

— ეს არის შეკითხვა, რომელზედაც მხოლოდ სამართლებრივი პასუხის გაცემა შემიძლია. სავარაუდოდ, შეიძლება მოეხსნას ქონების დაფიქსირების შემთხვევაში თქვენს ახლობელს სოციალური დახმარება. როგორც ჩვენი სატელეფონო საუბრიდან გაირკვა, სასაჩუქრე ქონება არაა მიზერული ოდენობის. შესაბამისად, სარეიტინგო ქულები არ დარჩება იმ ოდენობის, რომ სოციალური შეღავათები დარჩეს. თუმცა, მე დაზუსტებით არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან საბოლოოდ, ეს შესაბამისმა კომისიამ, საკითხის შესწავლის შემდეგ, უნდა გადაგიწყვიტოთ. თქვენი შეკითხვის მეორე ნახევართან დაკავშირებით, მე ვერაფერს გირჩევთ, რადგან უძრავი ქონების ჩუქება დარეგისტრირების გარეშე ვერ ჩაითვლება რეალურ ჩუქებად. ამასთან, ვიმეორებ, მე მხოლოდ სამართლებრივი პასუხების გაცემა შემიძლია.

* * *

— **ვაპირებდი ბინის ყიდვას. მოველაპარაკე მესაკუთრეს. დავუტოვე ბე. შემდეგ სხვა ბინა ვნახე და მისი ბინის ყიდვა გადავიფიქრე. მან ბე არ დამიბრუნა, მიუხედავად ჩემი მოთხოვნისა. მითხრა, შენ დამაზარალე, მე მაგ თანხით ვაპირებდი იაფად ბინის ყიდვას, ახლა ის ბინა გაიყიდაო. ასევე, მითხრა, მე რომ დამერღვია ეს პირობა, ბე ორმაგი რაოდენობით უნდა დამებრუნებინაო. რამდენად სამართლიანია მისი საქციელი?**

— სამოქალაქო კანონმდებლობა მოცემულ შემთხვევაში მის მხარეზეა.

მუხლი 422. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში

ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, – ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

მუხლი 423. ბეს ჩათვლა ზიანის ანაზღაურების ანგარიშში

1. თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში.

2. თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

* * *

— **რას ნიშნავს არასრულწლოვნის ემანსიპაცია?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს სრულად პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65–ე მუხლი, რომელის შინაარსსაც სრულად წარმოგიდგენთ:

1. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან – ამ წარმომადგენლების თანხმობით – მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.

2. თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

3. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

# თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერი ქალები

თანამედროვე მეცნიერი ქალები შეისწავლიან სამყაროს, ამზადებენ რობოტებს, ჭრიან ენმ-ის ჯაჭვს, ეხმარებიან ადამიანებს კიბოს დამარცხებასა და სიღარიბესთან ბრძოლაში...

**ანდრეა გეზი (Andrea Ghez)** — არის კალიფორნიის უნივერსიტეტის ფიზიკისა და ასტრონომიის კათედრის გამგე. ჩვენს გალაქტიკაში (ირმის ნახტომი) აღმოაჩინა შავი ხვრელი.



2020 წელს გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკაში „ჩვენი გალაქტიკის ცენტრში ზემასიური კომპაქტური ობიექტის აღმოჩენისთვის“.

ანდრეა მუშაობდა კეკას ობსერვატორიაში, რომელიც ჰავაიზე, მაუნა კეას მთის მწვერვალზე მდებარეობს და ორი უძლიერესი ტელესკოპის დახმარებით იკვლევდა ჩვენი გალაქტიკის, ირმის ნახტომის ცენტრის მახლობლად განლაგებული ვარსკვლავების მოძრაობას.

გეზმა კოლეგებთან ერთად შეძლო ვარსკვლავთშორის აირებსა და მტვერს შორის აღმოეჩინა, რომ ჩვენი გალაქტიკის ცენტრში მდებარეობს ობიექტი, რომელიც ჩვენი მზის მასაზე 4 მილიონჯერ მეტია და ზემასიურ შავ ხვრელს წარმოადგენს.

**ლიზა რენდალი (Lisa Randall)** — თეორეტიკოსი ფიზიკოსი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, მწერალი. დაწერა წიგნი სამყაროს მოწყობის შესახებ.



ლიზა რენდალის ციტატებს ყველაზე ხშირად იყენებენ თეორიული ფიზიკის დარგში. მისი ინტერესების სფეროებია: სიმების თეორია, სტანდარტული მოდელი, ფუნდამენტური ძალები და სამყაროს განზომილებები. ლიზა ყველაზე მეტად ცნობილია რენდელ-სუნდრუმის მოდელის ნაშრომით, რომელიც აღწერს გრავიტაციას დროისა და სივრცის ხუთგანზომილებაში.

ლიზა ცნობილია ასევე თავისი სამეცნიერო-პოპულარული წიგნების წყალობით. ერთ-ერთ მათგანში ის მკითხველს ესაუბრება ჰიგსის ბოზონისა და დიდი ადრონული კოლაიდერის შესახებ.

**მერი-კლერ კინგი (Mary-Claire King)** — გენეტიკოსი, ლასკერის პრემიის ლაურეატი მედიცინაში უდიდესი მიღწევებისთვის (2014) და უფლებადამცველი.

აღმოაჩინა, რომ ძუძუს კიბო შეიძლება მემკვიდრეობით გადაეცემოდეს.

მერი-კლერ კინგმა აღმოაჩინა, რომ ძუძუს კიბო მემკვიდრეობით შეიძლება გადაეცემოდეს გენის მუტაციის გამო. ამ აღმოჩენამ ნამდვილი რევოლუცია მოახდინა არა მარტო ძუძუს კიბოს, არამედ სხვა დაავადებების შესწავლაში და მისი სახელი მეცნიერების ისტორიაში უკვდავჰყო. ამის შემდეგ მერი-კლერმა შეისწავლა



მემკვიდრეობითი გენეტიკური სიყრუის, აიდ-ისა და შიზოფრენიის წარმომავლობა. გარდა ამისა, მეერი-კლერ კინგი ცნობილია იმითაც, რომ მან ცილების ანალიზის საშუალებით დაადგინა, რომ შიმპანზე და ადამიანი გენეტიკურად 99 პროცენტით ჰგვანან ერთმანეთს. რითიც დაამტკიცა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ჩვენი სახეობები ერთმანეთს მხოლოდ 5 მლნ წლის წინათ „დაშორდნენ“.

**მაია მატარიჩი (Maja Mataric)** — სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების, ნეირობიოლოგიისა და პედიატრიის ფაკულტეტების პროფესორი. 2009 წელს გახდა აშშ-ის პრეზიდენტის პრემიის ლაურეატი მეცნიერებაში უდიდესი მიღწევების გამო.

მაია მატარიჩი ქმნის რობოტებს, რომლებიც ეხმარებიან აუტისტ ბავშვებს და ალცჰეიმერის დაავადებით დაავადებულ მოზრდილებს.

ის არის რობოტოტექნიკისა და ავტონომიურ სისტემათა ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი, რომელიც აწარმოებს და ნერგავს სოციალურ-დამხმარე რობოტებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება. ასეთი რობოტების მიზანი ურთიერთობის გზით ადამიანების დახმარებაა. ამ რობოტებს ადამიანების ემოციების „ამოკითხვა“ შეუძლიათ.

**ლიცია ვერდე (Licia Verde)** — ასტროფიზიკოსი, 2012 წელს გახდა გრუბერის პრემიის ლაურეატი კოსმოლოგიაში „ადრეული



ლი სამყაროს შესწავლაში შეტანილი ნოვატორული ღვაწლისთვის“. შეისწავლის სამყაროს.

ვერდეს ციტატებს კოსმოლოგიის დარგში ყველაზე ხშირად იყენებენ. ეს მეცნიერება პასუხობს ისეთ კითხვებს, როგორიცაა: „რას წარმოადგენს სამყაროს ის 96 პროცენტი, რომელსაც ვერ ვხედავთ“ ან „რას წარმოადგენს შავი მატერია“. ლიცია ვერდე იკვლევდა კოსმიურ მიკროტალღურ გამოსხივებებს ნასა-სთვის, ახლა ის ბარსელონის უნივერსიტეტის პროფესორი და კატალანის კვლევების ინსტიტუტის მუდმივი მკვლევარია.

კოლეგებთან ერთად ვერდე დაკავებულია სამყაროს სტატისტიკური ანალიზით და მისი გაფართოების საკითხებით. მათ შორის, ობიექტებს შორის მანძილის გამოთვლით.

**სანგიტა ბჰატია (Sangeeta Bhatia)** — ექიმი, ბიოინჟინერი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი. 2003 წელს Technology Rewiew-მა ერთ-ერთ მთავარ ნოვატორად დაასახელა ახალგაზრდა 100



მაია მატარიჩი

მეცნიერს შორის. სანგიტა ასევე ლემელსონის პრემიის ლაურეატიცაა, რომელსაც „გამომგონებელთა ოსკარს“ უწოდებენ.

სანგიტა ბჰატია მედიცინისა და ინჟინერიის ზღვარზე მუშაობს. მან შეიმუშავა ნანონაწილაკების დახმარებით კიბოს სხვადასხვა ტიპების დიაგნოსტირების ადრეული დიაგნოსტირების ხერხი, ხოლო მისი სადოქტორო დისერტაცია ეძღვნება ღვიძლის უჯრედების ადამიანის სხეულს გარეთ გაზრდის შესაძლებლობებს. იდეა ის გახლავთ, რომ შეიქმნას მიკროღვიძლი, რომელიც წამლების მეტაბოლიზმის, ღვიძლის დაავადებებისა და პათოგენებთან მათი ურთიერთქმედების მოდელირებას მოახდენს. ჯერჯერობით ეს ღვიძლი ექიმებისა და ფარმაცევტებისთვისაა განკუთვნილი — ისინი შეძლებენ შეისწავლონ ახა-



ლი წამლების ზემოქმედებას ადამიანებზე მათი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

**ჯენიფერ დაუდნა (Jennnifer Doudna)** — ბიოქიმიკოსი და გენეტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ქიმიაში (2020 წ.) „გენომის რედაქტირების მეთოდების შემუშავებისთვის“. გამოიგონა „გენეტიკური მაკრატელი“.

ჯენიფერი კალიფორნიის უნივერსიტეტის ქიმიის, მოლეკულური და უჯრედული ბიოლოგიის ფაკულტეტების პროფესორია, არის აშშ-ის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიისა და აშშ-ის მედიცინის ნაციონალური აკადემიის წევრი.

2012 წელს ჯენიფერმა თავის კოლეგასთან, ემანუელ შარპანტიესთან ერთად აღმოაჩინა გენომ CRISPR/Cas9-ის რედაქტირების ტექნოლოგია. ეს ეგრეთწოდებული „გენეტიკური მაკრატელია“, რომელიც ენმ-ის რედაქტირების შესაძლებლობას იძლევა — ანუ მისი დახმარებით შეიძლება დნმ-ის სწორედ იმ



ადგილის გაჭრა, სადაც ადამიანის ჩარევაა საჭირო.

**სარა ბერგბრაიტერი (Sarah Bergbreiter)** — რობოტების ტექნიკოსი, კარნეგი მელონის უნივერსიტეტის საინჟინრო მექანიკის პროფესორი. სარა მიკრორობოტებს ქმნის — ისინი მწერების ზომის არიან და ავტონომიურად მოქმედება შეუძლიათ. ჯერჯერობით ეს ექსპერიმენტული მოდე-



ლებია, მაგრამ მომავალში ისინი ნატიფ ოპერაციებს შეასრულებენ.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99